# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ვერსია იხილეთ SAKRESP.GE

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№107-108 (10110-10111) 2026 წლის 13 აგვისტო, ხუთშაბათი


## მეტი წინდახედულება, მეტი სიბრძნე, ქართველებო!



იხ. 4 გვ.

თეიმურაზ ჯანელიძე:

## იქ, სადაც ადრე ვთესავდით ყანებს, ჩვენს დროში დარჩათ ყორნებს და ყვავებს!..

სამწუხაროდ, ჩვენი ხალხის დიდ ნაწილში დაკარგულია განცდა იმისა, რომ უშრომლად ნაშოვნი ლუკმა საწამლავია. რაც ჩვენი ოფლით არ არის მოპოვებული, არ გვეკუთვნის და ეშმაკის მიერ შემოთავაზებული თვალისმომჭრელი საცდურია. ასეთი შხამით ნასაზრდოები ცალკეული ადამიანი თუ ოჯახი ბედნიერი ვერასოდეს იქნება.



6 7

## „ახალი არგონავტები, საქართველოს გზაჯვარედინი“...




იხ. 3 გვ.

ირაკლი კოზახიძე

## 2008 წლის ომის შემდეგ რუსოფობიური განწყობები არ ჩამოყალიბებულა, რაც „დიფ სთეითის“ დავალებით მოხდა!

ილჰამ ალიევი:



## აზერბაიჯანს სურს, ევროპულ ბაზარს ელექტროენერგიაც მიაწოდოს, რისი ერთადერთი მარშრუტი საქართველოსა და თურქეთზე გადის, ეს შესაძლებლობები უნდა გავაფართოოთ

3



10

## ცისტური ფიბროზი ბავშვებს ველარ წაგვართმევს!



11

## რატომ ვერ აღწევს წარმატებას პრეზიდენტი ტრამპი?!



12

## ციხეში წამოკოტრიალებული მიხას ნაბოდვარი...

ბესარიონ კილასონია



8

## პორტრეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა

# „ეს გაუმარჯოს ერთი დიდგორით ყველა წაგებულ ომის მოგებას“!



**დიდგორის ბრძოლიდან 905 წელი გავიდა. „დიდგორობა 2026-ის“ ფარგლებში გუშინ სამხედრო პირები დიდგორის ჯვრის ორდენით დაჯილდოვდნენ. გაიმართა კონცერტი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების მიერ შესრულებული მუსიკალური ნომრებით.**

მოსახლეობას დიდგორობა მიულოცეს საქართველოს პრეზიდენტმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა.

**„დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების დღე 12 აგვისტო, გილოცავთ დიდგორობას“** – ამ შინაარსის ღია ბარათები გამოქვეყნდა მთავრობისა და **ირაკლი კობახიძის** Facebook გვერდებზე.





## მიხეილ ყაველაშვილი:

**დიდგორი ჩვენს მეხსიერებაში არ არის მხოლოდ ერთ-ერთი დიადი სამხედრო გამარჯვება, 1221 წლის 12 აგვისტო გახლავთ ხანგრძლივი მზადების, უგადლო გონიერებისა და რკინისებური დისციპლინის ლოგიკური დაგვირგვინება.**

დიდგორი არ ყოფილა შემთხვევითობა, ეს იყო შორსმჭვრეტლური დაგეგმარებისა და სახელმწიფოებრივი სიბრძნის შედეგი, რომელსაც წლებით ადრე ჩაეყარა საფუძველი.

დიდგორი უპირველესად არის საკუთარი თავისა და ხასიათის სისუსტეების დაძლევა. ეს არის სამაგალითო ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა წარმართოს ღირსეულმა სახელმწიფომ პოლიტიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება ისე, რომ ერმა აჯობოს საკუთარ თავს და მიაღწიოს ისტორიულ გამარჯვებებს. დღესაც, 21-ე საუკუნეში, ჩვენ სწორედ ეს გზა გვაქვს გასავლელი. გზა, რომელიც მოითხოვს მუდმივ სიფხიზლეს, შინაგან სიმტკიცესა და პრაგმატულ აზროვნებას, რათა საქართველო საბოლოოდ გამთლიანდეს, გახდეს ძლიერი და ჭეშმარიტად სუვერენული!

ისტორია გვასწავლის, რომ დიდი გამარჯვების მისაღწევად აუცილებელია სტრატეგიული მოთმინება, მომავლის ურყევი რწმენა და მუდმივი მზადყოფნა. სიბრძნე და სიფხიზლე – ეს უნდა გახდეს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების წესი და სწორედ ამ წესის შესაბამისად უნდა შეიქმნას, დაიგეგმოს და დაინერგოს თითოეული სახელმწიფო რეფორმა.

დიდგორამდე სხვანაირად ვერ მივალთ! ჩვენ გვჭირდება ყოველდღიურად ბრძოლა, დაუღალავი შრომა და საკუთარი თავის გამოწრთობა. სულიერი თუ მატერიალური საზრდო არა მხოლოდ შედეგების მიღწევაში, არამედ ყოველდღიური ბრძოლისა და მუდმივი განვითარების პროცესში უნდა ვეძიოთ. როგორც დიდმა ილიამ დაგვიტოვა ანდერძად: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი!“

დღეს ამ წმინდა მიწაზე დგომით ქედს ვიხრით დიდგორის შემოქმედის, წმინდა მეფე დავით IV აღმაშენებლისა და იმ გმირი წინაპრების ხსოვნის წინაშე, რომლებმაც საკუთარი სისხლით მოიპოვეს ძლევაი საკვირველი. მჯერა, რომ ჩვენი ერთიანობით, სტრატეგიული სიბრძნითა და შრომით საქართველო აუცილებლად მიაღწევს თავის დიდგორს, გაერთიანებულ, მშვიდობიან და ძლიერ საქართველოს! ღმერთმა დალოცოს ჩვენი სამშობლო!

## შალვა პაპუაშვილი:

**საქართველოს ისტორიაში 12 აგვისტო დიდგორის გამარჯვების დღეა.** 1121 წლის 12 აგვისტოს დავით აღმაშენებელმა დიდგორის ველზე საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო გამარჯვება მოიპოვა, რასაც ქვეყნის გაერთიანება, თბილისის გათავისუფლება და ქართული სახელმწიფოს ძლიერების ხანა მოჰყვა. 887 წლის შემდეგ, 2008 წლის 12 აგვისტოს მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც საკუთარ თავს და საკუთარ მმართველობას ასე ხშირად ადარებდა დავით აღმაშენებლის ეპოქას, დიდგორობის დღეს ომი წააგო და საქართველოსთვის კაპიტულანტურ ექვსპუნქტიან შეთანხმებაზე მოუწია დათანხმება. ისტორიამ შემოგვინახა ამ დოკუმენტის სახელიც „12 აგვისტოს შეთანხმება“. ეს სიმბოლური დამთხვევა განსაკუთრებით მძიმეა: დავით აღმაშენებელმა 12 აგვისტოს მტერი დაამარცხა და საქართველოს გზა გაერთიანებისკენ გაუხსნა. სააკაშვილმა კი იმავე დღეს საქართველოს სამხედრო მარცხი, ახალი ტერიტორიების დაკარგვა და რუსული ოკუპაციის გაფართოება დაუტოვა.

12 აგვისტოს შეთანხმება თანაბარ პირობებში მყოფ ორ სახელმწიფოს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება არ ყოფილა. ეს იყო ომში დამარცხებული ხელისუფლების მიერ რუსეთის პირობებზე მიღებული დოკუმენტი, რომელშიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა კიდევ ერთხელ შეილახა. დოკუმენტში არ ეწერა, რომ რუსეთი იყო აგრესორი; არ იყო საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მკაფიო გარანტია; არ განისაზღვრა რუსეთის ჯარის გაყვანის კონკრეტული ვადა; არ არსებობდა შეთანხმების შესრულების იძულების ქმედითი მექანიზმი; რუსეთისთვის დაკისრებული ვალდებულებები ბუნდოვანი იყო, საქართველოს ვალდებულება კი „კონკრეტული და ცალსახა. შედეგიც შესაბამისი დადგა. რუსეთმა შეთანხმება არ შეასრულა, საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ყოფნა შეინარჩუნა, ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა დაიკავა, მოგვიანებით კი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა. საქართველომ დაკარგა კონტროლი დამატებით ტერიტორიებზე, ათიათასობით ადამიანი საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა, ხოლო რუსული სამხედრო ბაზები საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში დამკვიდრდა. ეს ყველაფერი იმ ომის შედეგი იყო, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება წლების განმავლობაში გარდაუვალ ისტორიულ გმირობად და საქართველოს გამარჯვებად წარმოაჩენდა.

თუმცა სახელმწიფოს გამარჯვება განისაზღვრება არა სატელევიზიო დეკორაციებით, დროშების ფრიალით და ხელისუფლების მიერ საკუთარი თავისთვის მოწყობილი ზეიმებით. გამარჯვება იზომება მიღებული შედეგით: რამდენად დაცულია ქვეყნის ტერიტორია, მოქალაქეები, მშვიდობა და სახელმწიფოებრივი ინტერესები. 2008 წლის აგვისტოში საქართველომ ვერც ერთი ეს მიზანი ვერ დაიცვა. სააკაშვილის რეჟიმმა ჯერ



ქვეყანა უმძიმეს სამხედრო ავანტიურაში შეიყვანა, შემდეგ ბრძოლის ველზე მარცხი განიცადა, ბოლოს კი ხელი მოაწერა პირობებს, რომლებმაც რუსეთის მიერ შექმნილი ახალი საოკუპაციო რეალობა ვერ შეაჩერა. ყველაზე მძიმე კი ის იყო, რომ ხელისუფლებამ საკუთარ შეცდომებს ქართველი სამხედროების გმირობა გადააფარა. ქართველი ჯარისკაცები თავდადებით იბრძოდნენ. მარცხი მათი არ ყოფილა. ეს იყო პოლიტიკური ხელმძღვანელობის მარცხი – ხელისუფლების, რომელმაც ქვეყანა ომში შეიყვანა, ვერ მართა ომი და ვერც მისი დასრულებისას დაიცვა ქვეყნის ინტერესები.

ამ ისტორიის კიდევ ერთი მძიმე მხარე საერთაშორისო რეაქცია იყო. 12 აგვისტოს შეთანხმებას შუამავლად და გარანტორად ევროკავშირი ედგა. ექვს პუნქტში საქართველოსთვის არსებითად მნიშვნელოვანი იყო მეხუთე პუნქტი: რუსეთის სამხედრო ძალები საწყის პოზიციებზე უნდა დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ რა მოხდა შემდეგ? რუსეთზე რეალური ზეწოლა განხორციელდა? სანქციები დაწესდა? ვაჭრობა შეჩერდა? პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები შეიზღუდა? არა. პირიქით, დასავლეთსა და რუსეთს შორის მალე დაიწყო ურთიერთობების „გადატვირთვა“, გაგრძელდა მასშტაბური ეკონომიკური თანამშრომლობა; აშენდა „ნორდ სტრიმის“ მილსადენები; 2010 წლის 9 მაისს კი წითელ მოედანზე რუს და ევროპელ სამხედროებს ერთ აღლუმზე ვხედავდით.

საქართველომ კი სხვა რეალობა მიიღო: შეიარაღების შეძენაზე დაწესებული ემბარგო, ომის პასუხისმგებლობაზე მძიმე საერთაშორისო შეფასებები, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაზე საქართველოს თანხმობის იძულება და გასასტიკებული რეჟიმის ყველაზე შავბნელი წლები. რა იყო ეს, თუ არა საქართველოს დასჯა და რუსეთთან ურთიერთობების ძველ კალაპოტში სწრაფი დაბრუნება? მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად სამ დღეში კაპიტულაციისა, მიტოვებული ჯარისკაცებისა, ჰალსტუხისა და გორის სამარცხვინო კადრებისა, რუსთაველზე ზეიმისა მაშინ, როდესაც ჩვენი პატრიარქი საკუთარი ფეხით მიდიოდა ომის ზონაში დაღუპული ჯარისკაცების გამოსაყვანად და მშვიდობიანი მოსახლეობის დასახმარებლად, ყველაფრის მიუხედავად, ქართველმა ჯარისკაცმა საქართველოს ღირსება არ დათმო.

## თავდაცვის მინისტრი ირაკლი ჩიქოვანი და გენერალი კობა კობალაძე „დიდგორობა 2026“-ის ღონისძიებას დაესწრნენ



**ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი, გენერალ-მაიორი კობა კობალაძე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, დიდგორის ველზე, საქართველოს პრეზიდენტთან, მიხეილ ყაველაშვილთან, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, და, ასევე, საქართველოს თავდაცვის ძალებისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად, სახალხო დღესასწაულს „დიდგორობა 2026“-ს დაესწრო.**

„დიდგორობა 2026-ის“ ფარგლებში, თავდაცვის მინისტრმა *ირაკლი ჩიქოვანმა*, საომარი და საბრძოლო მოქმედებების დროს, ლიდერის თვისებების გამოვლენისა და გამოჩენილი მამაცობისათვის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლით – „დიდგორის ჯვარი“, საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეები დააჯილდოვა. **სახელმწიფო ჯილდო – „დიდგორის ჯვრის ორდენი“, მთავრობის ინიციატივით, 2014 წლის დაწესდა და ყოველი წლის 12 აგვისტოს, გამორჩეულ სამხედრო მოსამსახურეებს გადაეცათ.**

**მთავარი ამონარიდები პრემიერ-მინისტრის ბრიფინგიდან**



# საქართველოს მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ რადიკალური ანტი-რუსული განწყობა ყალბია, რაც კონკრეტული ფაქტებითაც დასტურდება

**ვფიქრობ, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რას ემსახურება □დიფ სთეითის□გეგმა საქართველოში საკუთარი აგენტურის გამოყენებით რუსოფობიის ხელოვნურად გაღვივებასთან დაკავშირებით.**

საქართველოს ხელისუფლებას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ 2022 წელს უკრაინაში ომის დაწყებიდან მოყოლებული, გლობალური ომის პარტია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა ამ კონფლიქტის მონაწილე მხარე გამხდარიყო და საქართველოში მეორე ფრონტი გახსნილიყო. სწორედ ეს იყო ის □შესაძლებლობების ფანჯარა□ რაც ჩვენს ქვეყანას და ხალხს ეგზისტენციური საფრთხის წინაშე აყენებდა. საქართველოს მიერ მეორე ფრონტის გახსნის მოთხოვნას მალევე მოჰყვა დირექტივები რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებთან მიერთებასთან დაკავშირებით, რაც საქართველოს ეკონომიკის ჩამოშლისკენ იყო მიმართული.

სწორედ აღნიშნულ მოთხოვნებზე საქართველოს ხელისუფლების მიერ უარის თქმის, სუვერენული პოლიტიკის გატარებისა და სახელმწიფოებრივი ინტერესებით მოქმედების გამო ჩვენი ქვეყანა არაფორმალური ოლიგარქიული ძალებით მოქმედი ევროპული ბიუროკრატიის და დასავლელი ლიდერების სამიზნედ იქცა. ამ პროცესში სხვადასხვა ქვეყანამ, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად □დიფ სთეითის□მიერ იმართებიან, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების წინა ადმინისტრაციამ □ბაიდენის ხელისუფლებამ, აამოქმედა ზეწოლის ყველა მექანიზმი □სანქციები დაუწესეს საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს პირებს, მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ქართველ მოსამართლეებს, პოლიციის მაღალჩინოსნებს, ფიზიკურ პირებს და ა.შ. ასევე, ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის გამოიყენეს საქართველოს გაცხადებული მიზანი, გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, ხოლო მას შემდეგ, რაც მათთვის სასურველი შედეგი არც ამის შედეგად დადგა, რადგან საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერით ზურგგამაგრებული მმართველი პარტია ვერ დაიმორჩილეს, საკუთარი აგენტურის გამოყენებით საქართველოს ახალ პროვოკაციაში გახვევას ცდილობენ. ეს არის საქართველოს, ქართველი ხალხისა და მისი სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიტანილი შტურმის თვისებრივად ახალი ეტაპი, რომელიც სინქრონულად, რამდენიმე მიმართულებით ვითარდება. სწორედ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ დაწყებული შეტევის ამ ახალი ეტაპის შესახებ საზოგადოების ინფორმირებაა ჩემი დღევანდელი მიზანი□ □განაცხადა **კობახიძემ.**

# 2008 წლის ომის შემდეგ რუსოფობიური განწყობები არ ჩამოყალიბებულა, რაც „დიფ სთეითის“ დავალებით მოხდა!

**საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე დიდი ტრაგედიიდან, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომიდან უკვე 18 წელი გავიდა, თუმცა იმ დღეების ტკივილი და მძიმე კვალი დღემდე მოუშუშებელია. აგვისტოს ომმა ასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ათიათასობით მოქალაქე საკუთარ სახლ-კარს მოსწყვიტა და საქართველო ტერიტორიების ოკუპაციის კიდევ უფრო მძიმე რეალობის წინაშე დააყენა. მიუხედავად გასული წლებისა, ომის შედეგები კვლავ იგრძნობა, ხოლო დაღუპულთა ხსოვნა და იძულებით გადაადგილებული ადამიანების ტკივილი ჩვენი საზოგადოების საერთო მეხსიერებისა და პასუხისმგებლობის განუყოფელ ნაწილად რჩება.**

□ნაციონალური მოძრაობის□რეჟიმის მიერ საკუთარი სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულის შედეგად რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია განახორციელა და საქართველოს ისტორიული კუთხეები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა

რა თქმა უნდა, არავის აქვს ილუზია, რომ სააკაშვილი და □ნაციონალური მოძრაობა□ რომლებიც საქართველოში □დიფ სთეითის□აგენტურას წარმოადგენენ, რაიმე ნაბიჯს დგამდნენ ან დგამენ დამოუკიდებლად. რეალურად, სააკაშვილის ეს ავანტიურა იყო □დიფ სთეითის□პირდაპირი დავალება, რომლის მთავარი ხელწერაც საერთაშორისო დონეზე ქვეყნების დაპირისპირება და ერთმანეთთან ომში ჩაბმა, ქვეყნების შიგნით კი საზოგადოების რადიკალიზაცია და ერთმანეთს წაკიდებაა.

შედეგად, მივიღეთ □დიფ სთეითისთვის□სასურველი, ჩვენი ხალხისა და ქვეყნისთვის კი ტრაგიკული მოცემულობა □ჩვენი გმირი სამხედროების, პოლიციელებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვა, 30 ათასამდე იძულებით გადაადგილებული ჩვენი მოქალაქე, საოკუპაციო ხაზს მიღმა დარჩენილი ასზე მეტი ქართული დასახლება, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება და ერებს შორის გაღვივებული შუღლი.

მიუხედავად ამისა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოში რუსოფობიური განწყობები არ ჩამოყალიბებულა, რაც, რა თქმა უნდა, □დიფ სთეითის□დავალებით მოხდა, ისევე, როგორც ის, რომ ქართულმა აგენტურამ რადიკალური ანტირუსული განწყობა მხოლოდ 2022 წელს, რუსეთის მიერ უკრაინაში მეორედ შეჭრის შემდეგ გამოავლინა. როგორც რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებულ წერილში აღვნიშნე, გლობალურ ომის პარტიას სწორედ დღეს მიმდინარე კონფლიქტის მასშტაბი სჭირდებოდა იმისთვის, რომ ომში ევროპა ჩაერთო და რუსოფობია აგენტურაში მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის საქართველოშიც, უმაღლეს დონეზე გაეღვივებინა.

# შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი ექსპერტებმა შეიტანეს ევროკავშირის ერთობლივი ინტერესების პროექტების ნუსხაში!

**როდესაც ექსპერტულად მომზადდა ევროკავშირის დოკუმენტი, მათ შორის, ელექტროენერგიის ტრანზიტსა და წყალქვეშა კაბელის პროექტებთან დაკავშირებით, ექსპერტებმა შეიტანეს შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი, რომელიც არის ელექტროენერგიისა და, ასევე, ციფრული კაბელი, ერთობლივი ინტერესების პროექტების ნუსხაში.**

სადაც ექსპერტული კომპონენტია ჩართული, იქ, რა თქმა უნდა, ყველა აცნობიერებს, რომ საქართველოს გარეშე ასეთი კავშირები ვერ დამყარდება და გამყარდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პრაგმატული მოსაზრებები გადაწონის. რა თქმა უნდა, რასაც ბატონი ალიევი ბრძანებს, ეს ასეა. პრინციპულად მნიშვნელოვანია აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთს შორის სტრატეგიული კავშირების, მათ შორის, დაკავშირებადობის კუთხით სტრატეგიული კავშირების კიდევ უფრო მეტად განმტკიცება და ჩვენ ამისათვის ყველაფერს ვაკეთებთ და ყველაფერს გავაკეთებთ. გვაქვს ძალიან კარგი დინამიკა აზერბაიჯანთან, ასევე თურქეთთან და, რა თქმა უნდა, ამაზე აქტიურად გაგრძელდება მუშაობა, □განაცხადა **კობახიძემ.**

12 აგვისტო, 2026.



**ილჰამ ალიევი:**

# აზერბაიჯანს სურს, ევროპულ ბაზარს ელექტროენერგიაც მიაწოდოს, რისი ერთადერთი მარშრუტი საქართველოსა და თურქეთზე გადის, ეს შესაძლებლობები უნდა გავაფართოოთ

**ჩვენ უკვე მზად გვაქვს პროექტი, რომელიც აზერბაიჯანიდან სომხეთის გავლით ნახიჩევანამდე ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანას ითვალისწინებს,** □ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა **ილჰამ ალიევმა** ნახიჩევანში ადგილობრივი მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, დღეს აზერბაიჯანის ელექტროენერგიის ქსელი არის დაკავშირებული რუსეთთან, ირანთან, საქართველოსთან და თურქეთთან საქართველოს გავლით.

**□ამრიგად, სომხეთის გავლით ნახიჩევანამდე და იქიდან თურქეთსა და ევროპაში გამავალი ენერგეტიკული დერეფანი ასევე ხელს შეუწყობს სომხეთის ენერგეტიკული სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფას კრიზისის შემთხვევაში. ამიტომ რაც უფრო მალე განვახორციელებთ ამას, მით უკეთესი□** □განაცხადა **ილჰამ ალიევმა.**

მისი თქმით, აზერბაიჯანი რეგიონის ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ნავთობის, გაზისა და ელექტროენერგიის დიდი რესურსი აქვს.

**□დღეს თუ ჩვენს რეგიონში მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა, რომლებსაც ელექტროენერგიის მიწოდების პრობლემები არ აქვთ, აზერბაიჯანი მათ შორის პირველ ადგილზეა. ამა თუ იმ მიზეზით, რეგიონში ენერგეტიკული კრიზისია და ეს კრიზისი, შესაძლოა, გაღრმავდეს რეგიონში მიმდინარე ომების, მზარდი რისკების, ენერგორესურსების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სატრანსპორტო ჯაჭვების შეფერხებების და სხვა ფაქტორების გამო. არ არის გამორიცხული, მომავალში ახალი, გაუთვალისწინებელი მოვლენები მოხდეს. ამიტომ აზერბაიჯანის განსაკუთრებული როლი ამ მხრივ უდავოა. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, რომ ნახიჩევანის უწყვეტი და მდგრადი ენერგომომარაგება არასდროს შეფერხდეს□** □აღნიშნა **ილჰამ ალიევმა.**

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ აზერბაიჯანს სურს, ევროპულ ბაზარს როგორც გაზი და ნავთობი, ასევე ელექტროენერგია მიაწოდოს, რისი ერთადერთი მარშრუტიც საქართველოსა და თურქეთზე გადის.

ინტერვიუში ილჰამ ალიევმა ასევე ზანგეზურის დერეფანზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ დერეფნის გავლით 15 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვა ქვეყანაში დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის.

**□ზანგეზურის დერეფნით 15 მილიონი ტონა ან, შესაძლოა, მეტი ტვირთის გადაზიდვა გაცილებით მეტ აქტივობას გამოიწვევს. შეიქმნება მეტი სამუშაო ადგილი, გაიზრდება ეკონომიკური აქტივობა და ნახიჩევანი, შემიძლია ვთქვა, ერთ-ერთ შეუცვლელ სატრანსპორტო ცენტრად იქცევა□** □განაცხადა **ილჰამ ალიევმა.**

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ თავდაპირველად, ზანგეზურის დერეფნის იდეის წამოყენებისას აქცენტს ძირითადად ტრანსპორტის სეგმენტზე ამახვილებდა, თუმცა დღეს ამას უფრო ფართო კონტექსტში უყურებს.

# წარღვნის წინ

**დედამიწის ორივე ნახევარსფეროში მიმდინარე საომარი მოქმედებების დინამიკა და რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების ალბათობა, იძლევა ვარაუდის შესაძლებლობას, რომ მესამე მსოფლიო ომი კარზეა მომდგარი!**

**ასეთი შემზარავი პერსპექტივის პარალელურად, ამერიკელი მეცნიერ-მკვლევრები, რომლებიც ინტენსიურად სწავლობენ მსოფლიო ოკეანის დონის ცვალებადობას, არცთუ უსაფუძვლოდ ვარაუდობენ, რომ დედამიწას მორიგი წარღვნა ემუქრება წყლის უკონტროლო მატების გამო, რაც გლობალური დათბობით არის გამოწვეული.**




# იქ, სადაც ადრე ვთესავდით ყანებს, ჩვენს დროში დარჩათ ყორნებს და ყვავებს!..

**გაეროს კვლევების თანახმად, გლობალური დათბობის შედეგად 300 ათასზე მეტი ადამიანი იღუპება ყოველწლიურად მსოფლიოში, თუმცა, ამ მაჩვენებელმა შესაძლოა, მოიმატოს და 2030 წლის გოლოსთვის 500 ათასამდე გაიზარდოს მსხვერპლთა რაოდენობა.**

**არანაკლებ საფრთხილოა გაუსაძლისი სიცხეები და წყალდიდობები, რომლებიც აუნაზღაურებელ ზარალს აყენებენ სოფლის მეურნეობას და პრაქტიკულად გამოუსადეგარს ხდიან ნაყოფიერ სავარგულებს, როგორც მთიან რეგიონებში, ისე კოლხეთის დაბლობებში.**

ასეთ პირობებში, ნებისმიერი სახელმწიფოს ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა, შეიმუშაოს გრძელვადიანი პროგრამა და გაატაროს პრევენციული ხასიათის ღონისძიებები, რათა შეძლებისდაგვარად შეამციროს მოსალოდნელი ზარალი, მისგან გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკური შედეგის ჩათვლით.

– მიწა რომ დედაა, ეს იქაც იციან, სადაც მიწას დედამიწას არ ეძახიან და გლეხს – გუთნისდედასო, წერდა ქართველ მწერლებში ყველაზე კოლორიტული გლეხი და ქართველ გლეხებში ყველაზე დიდი მწერალი ოტია იოსელიანი 1990 წელს გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილში, როცა ეროვნული მოძრაობის თავკაცები ქართული მიწის მადლს იფიცებდნენ გულზე მჯიღის დარტყმით.

რაც უნდა მტკივნეული იყოს ამის აღიარება, გასული 35 წლის განმავლობაში ისეთი დაუდევრობით ექცეოდა ამ ღვთითბოძებულ საუნჯეს ყველა მომდევნო ხელისუფლება, დღეის მდგომარეობით შაგრენის ტყავივითაა შემცირებული და ათასი ჯურის გადამთიელებისგან მიტაცებულ-ოკუპირებულ-დასაკუთრებული!

სულკურთხეული ილია მეორის გარდაცვალების შემდეგ არაერთი ამაღელვებელი მოგონება მოგვისმენია მისი უწმინდესობის სამოქალაქო პოზიციასთან დაკავშირებით, მაგრამ ფართო საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა ისეთი უმნიშვნელოვანესი თემა, რომელიც ქართველი ერის იდენტობასთან არის სისხლხორცეულად დაკავშირებული – ქართული მიწისა და მისი რაციონალურად გამოყენების საკითხი. 1994 წლის სააღდგომო ეპისტოლეში ბრძენი პატრიარქი ასე მიმართავდა ახალგაზრდა თაობას: „ნუ ეძებთ იოლ გზებს, ისინი მხოლოდ დაღუპვისკენ გვიბიძგებენ. ნუ გახდებით მეწვრილმანენი და მოვაჭრენი. ყიდვა-გაყიდვა და მასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობანი აფუჭებს და ამახინჯებს ადამიანის სულს. ჩვენი წინაპრებისთვის მე-19 საუკუნეშიც კი ეს ხელობა არასასურველ საქმედ ითვლებოდა...

მიხედეთ მიწას. მიწა დაგაპურებთ და გაგათბობთ. ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და სხეულს“.

კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო, ნათქვამია. მიუხედავად იმისა, რომ 1992 წლის რეფორმის შედეგად მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო მესაკუთრეებზე იყო განაწილებული, ხელშეწყობის გარეშე დარჩენილი გლეხობა ვერ ახერხებდა მის დამუშავებას და უცხოეთიდან შემოტანილი ჰუმანიტარული დახმარების მოლოდინში ვიყავით შესაბრალისად ხელგაშვერილი.

როგორც მოსალოდნელი იყო, მისმა უწმინდესობამ აქაც დაინახა რეალური საფრთხე და 2001 წლის საშობაო ეპისტოლეში უფრო სიღრმისეულად გააანალიზა შექმნილი სიტუაცია:

**„სამწუხაროდ, ჩვენი ხალხის დიდ ნაწილში დაკარგულია განცდა იმისა, რომ უშრომლად ნაშოვნი ლუკმა საწამლავია. რაც ჩვენი ოფლით არ არის მოპოვებული, არ გვეკუთვნის და ეშმაკის მიერ შემოთავაზებული თვალისმომჭრელი საცდურია. ასეთი შხამით ნასაზრდოები ცალკეული ადამიანი თუ ოჯახი ბედნიერი ვერასოდეს იქნება“.**

სხვათა შორის, იგივე აზრია გატარებული ოტია იოსელიანის ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში, სადაც მწერალი ჩვეული პირდაპირობით ამხელს სხვისი მოიმედეობის პოლიტიკას, რომელიც იმ პერიოდში ღიად იყო წახალისებული:

**„შენი ოფლით შენს მიწაზე მოწეულ პურს აქვს შენი სისხლის და ჯიშის გადარჩენის ძალა. უნდა დავანებოთ თავი ვინცხეის ქვეყანაში ძუნძულს. იმათ კაი ქვეყანა თუ აქვთ, შენ კი არ აგიშენებია. ჩვენ, რასაც დავთესავთ, მხოლოდ იმით დაპურების უფლება გვაქვს“.**

მკითხველს უთუოდ ემახსოვრება საგულისხმო პასაჟი ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მარადისობის კანონი“, როცა მოხუცი მწყემსი ბაჩანა რამიშვილთან საუბარში დაიჩივლებს, შვილები მსაყვედურობენ, **თავს რატომ გვჭრი, შენი დასასაქმებელი რა გვჭირს, რძე და ხორცი თუ დაგვჭირდება, ბაზრიდანაც კარგად მოვიტანთო. ბაზარსა და მაღაზიაში ვინღა მიიტანს, იმას კი აღარ კითხულობენ მამაძაღლებიო!**

უმადურობა არ მახასიათებს, ამიტომ გულწრფელად გამიხარდა, წყალტუბოში რომ ჩამოვიდა სოფლის მეურნეობის მინისტრი და წარმატებული მეურნეობები მოინახულა, მაგრამ საქმეს უთუოდ სასიკეთოდ წაადგებოდა, იმ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსაც თუ შეავლებდა თვალს, ეკალ-ბარდებითა და კაცის სიმაღლე სარეველებით რომ არის დაფარული.

თითქოს აზიური ფაროსანა, კოლორადოს ხოჭო თუ ამერიკული პეპელა არ იყო საკმარისი, გლეხს გული რომ აცრუვებოდა, ახლა საწვავის გაძვირებამ და მექანიზაციის დეფიციტმა შეუქმნა დამატებითი სირთულეები და მწარმოებლიდან მომხმარებლად აქცია იგი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, 2025 წელს 2 მილიარდ 52 მილიონი დოლარის იმპორტირებული სასურსათო პროდუქცია გვაქვს შეძენილი უცხოეთში, რაც 356 მილიონით მეტია წინა წელთან შედარებით.

იმავე პერიოდში მოხმარებული 637 ათასი ტონა ხორბლის ორ მესამედზე მეტი – 492 ათასი ტონა, ასევე უცხოეთიდან გვაქვს შემოტანილი. ქართველები პურის მჭამელი ხალხი ვართ, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, ამიტომ მარცვლეული კულტურების მოყვანა პრიორიტეტული უნდა იყოს სოფლის მეურნეობაში.

საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ როცა ხელისუფლების მხრიდან გულგრილობას აწყდები, ემოცია გიჩლუნგდება და ენთუზიაზმი გიქვეითდება, რაც ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემადაა მიჩნეული თანამედროვე საზოგადოებაში. ესეც არ იყოს, აბა, რა პასუხი უნდა მოგვეთხოვა სოფლის მეურნეობის ისეთი დილეტანტი ნაცი მინისტრისთვის, რომელსაც ძროხა ორსქესიანი პირუტყვი ეგონა, ხოლო ვაზის ჭიგოს და ღობის სარს ერთმანეთისგან ვერ არჩევდა!

2026 წლის 16 ივნისს, ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმში მომიწია ყოფნა, მწერლის 96-ე წლისთავთან დაკავშირებით. როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი ითქვა მისი შემოქმედებისა და პიროვნული თვისებების თაობაზე, მაგრამ, პატრიარქის შემთხვევისა არ იყოს, არავის უხსენებია სამეურნეო სფერო, სადაც მწერალი უფრო ლაღად გრძნობდა თავს, ვიდრე საწერ მაგიდასთან, ავტოკალმით ხელში. აკი, ამბობდა კიდეც, მწერლობა ჩემი მეთორმეტე პროფესიააო!

1990 წელს ჟურნალ „განთიადის“ მეთერთმეტე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ვაჰ, სოფელო ანუ დავიხედოთ მიწაზე“, რომელზეც ზემოთ გვქონდა გაკვრით საუბარი, ოტია იოსელიანს სიღრმისეულად აქვს განხილული ის პრობლემატური საკითხები, რომელთა ერთობლიობამ მიგვიყვანა იმ სავალალო მდგომარეობამდე, ამჟამად რომ ვიმყოფებით. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, თავს უფლებას მივცემ, წარმოვადგინო რამდენიმე ამონარიდი, ხსენებული პუბლიკაციიდან:

**„სოფელს თავისი, ზუსტად გაანგარიშებული შემოსავალ-გასავალი აქვს და უღრანში ფოჩხი არ აგდია სადმე ზედმეტი, მინდორში – გლუჯა გალახი და ყანაში – ჩალის ღერი“..**

**„რისგან რა გვჭირს, უპირველესად ამის ცოდნა გვმართებს, მაგრამ ცოდნა გულისგულამდე, ძირისძირამდე, ღდინისდინამდე“.**

**„როცა უნდათ სნეულს უწამლონ, დაავადების მიზეზს ეძებენ, რა სნებამ, რა სახადმა, რა წაქცევამ, რა დაცემამ დამართა, რა ქვა და მეხი ეცა, რა ჭირი და ავი ზნე, რა უჟმური და მავნე შეეყარა“..**

**„დავიხედოთ მიწაზე და ვიკითხოთ, რა ამბავია ჩვენს თავს???“**

**„ქართველი კაცი და ვენახი?**

ეს ორი სიცოცხლეა, ორი არსება, ორი ერთმანეთის პატრონი და ერთმანე-

**სამწუხაროდ, ჩვენი ხალხის დიდ ნაწილში დაკარგულია განცდა იმისა, რომ უშრომლად ნაშოვნი ლუკმა საწამლავია. რაც ჩვენი ოფლით არ არის მოპოვებული, არ გვეკუთვნის და ეშმაკის მიერ შემოთავაზებული თვალისმომჭრელი საცდურია. ასეთი შხამით ნასაზრდოები ცალკეული ადამიანი თუ ოჯახი ბედნიერი ვერასოდეს იქნება.**

თის ნუგეში, ერთმანეთის მოიმედე, ერთმანეთის ჭირისუფალი და ლხინში თანამდგომი, თანამშრახველ-გამგები, გამგონი, გამტანი, განუყრელი, განუშორებელი, ღირსება, პატივი, სახელი, კაცობა... ვენახით იზომება კაცის ღირსება“..

„მიწა მარტო შენი მარჩენალი არაა, მიწა ყველას პურია არსობისა, ვინც მის ზურგზეა, მაგრამ გლეხისთვის პროფესიაა. მიწა მისთვის მარტო პურ-ღვინო არაა. მიწა მისი კაცობის, ნიჭის, მისი ავ-კარგის წარმომჩენია. მიწის გარეშე გლეხი არაფერია!“

„შენს ბეღელში სხვა არაფერს ჩაყრის – ბეღელი შენ უნდა აავსო. ბეღელს ვინ აავსებს? გლეხი! გლეხი სადაა?..“

ვინც გულდასმით დააკვირდება, მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული მწერლის შემოქმედებაში განსაკუთრებით თვალშისაცემია მრავალწერტილი, რაც მკითხველს იძულებულს ხდის, თვითონ მოიფიქროს ნავარაუდევი პასუხი თუ წინადადების დასასრული. ასე მოხდა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა მწერალს პასუხი არ გაუცია კითხვაზე: გლეხი სადაა?

ღმერთმა ნუ ქნას, გლეხის გარეშე დარჩეს ისედაც გაუკაცრიელების პირას მყოფი ასეულობით სოფელი, მაგრამ შრომისმოყვარე ადამიანების ნაკლებობა რომ თვალშისაცემია საქართველოში, ამის თქმა დაბეჯითებით შეგვიძლია.

„მოძმე მრავალი მიწას კბილებით ჩააფრინდება“-ო, ამბობს ძველი წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნის ძველი ბერძენი პოეტი და მწიგნობარი ჰომეროსი „ილიადაში“. არაერთი თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, კბილებით ვერ ჩავაფრინდით მშობლიურ მიწას, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე რომ იყო გაჭენებულ-გამოჭენებული, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ არც ჩვენ სახელოვან მეფეებს და არც მათ ქვეშევრდომებს მცდელობა არ დაუკლიათ, საკუთარი სიცოცხლის ფასად დაეცვათ ღვთითბოძებული ეროვნული სიმდიდრე.

ყმაწვილკაცობიდან მახსოვს ერთი ლექსი, რომელიც კოლექტიური შრომის განდიდების იდეით არის შთაგონებული:

**„იქ, სადაც ადრე კიოდა ტურა,**
**ჩვენ გავაშენეთ ჩაის კულტურა“**

ახლა, 21-ე საუკუნის პირველი მეოთხედის დასრულების პერიოდში, გავერანებულ ჩაის პლანტაციებს რომ ჩავუვლი გვერდით, წყალტუბოდან ქუთაისისკენ მიმავალ გზაზე, გულზე დარდი შემომაწვება და იმ უწყინარი ლექსის ინტერპრეტაციის დაუოკებელი სურვილი მეუფლება ხოლმე:

**იქ, სადაც ადრე ვთესავდით ყანებს,**
**ჩვენ დროში დარჩათ ყორნებს და ყვავებს.**

ჩვენი მოკრძალებული აზრით, არსებული მდგომარეობიდან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება შრომისმოყვარე გლეხის მშობლიურ ადგილზე დამაგრებაა, რაც შესაძლებელი გახდება, თუკი შესაბამისი სახელმწიფოებრივი ზომები იქნება მიღებული.

თუ ხელისუფლებამ არ გამოიჩინა მეტი წინდახედულება და ჯეროვანი ყურადღება არ დაუთმო სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებას, არაერთი გლეხი კვლავ შეკრავს გუდა-ნაბადს და შემთხვევით ჩამოვლილ ავტომანქანას დაემგზავრება, ქალაქისკენ მიმავალ გზაზე.

**წინასწარმეტყველმა სოლომონმა, ვიდრე სამეფო ტახტზე დაიკავებდა ადგილს, ღმერთს შესთხოვა, მიეცა მისთვის სიბრძნე, რათა სამართლიანად ემართა ქვეყანა და ერთმანეთისგან გაერჩია სიკეთე და ბოროტება. როგორც ცნობილია, მამაზეციერმა შეისმინა მეფის ვედრება და ასე შემორჩა ისტორიას სოლომონ ბრძენის სახელი!**

**ღმერთმა მოგმადლოთ, ქალბატონებო და ბატონებო სიბრძნე, რაც შეგაძლებინებთ, სამართლიანად მართოთ ქვეყანა, რომლის ბედი ქართველი ერისგან გაქვთ დაკისრებული.**



**თეიმურაზ ჯანელიძე,**
**წყალტუბო-ჩუნეში.**



# ადგილობრივი სურსათის თვითღირებულება მაღალია, იაფ იმპორტთან კონკურენცია სულ უფრო რთულდება

**სოფლის მეურნეობის დარგში მუშახელის პრობლემა ბოლო წლებში მუდმივად არის. გარდა ამისა, წარმოიშვა დამატებითი დაბრკოლება – იაფ იმპორტს ადგილზე წარმოებული პროდუქცია კონკურენციას ძნელად უწევს. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში (რუსეთი, თურქეთი, ირანი, სომხეთი) მთელი რიგი პრობლემების გამო, რომელიც სანქციებს და გასაღების ბაზრებზე წვდომის შეზღუდვას უკავშირდება, მოწეული სურსათის გასაღებას ვერ ახერხებენ. ამიტომაც რეგიონის ბაზრებზე ხშირად დემპინგური ფასით ცდილობენ ფეხის მოკიდებას.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმების საკითხზე საუბრისას ყურადღება ხშირად სეზონური მუშახელის ნაკლებობაზე მახვილდება. თუმცა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კვლევა აჩვენებს, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტია. აგრარული მიმართულებების პროგრამებზე ყოველწლიურად, საშუალოდ, 1 171 სტუდენტი ირიცხება და სწავლას 442 ასრულებს. ბაზრის საშუალო წლიური მოთხოვნა 524 კადრს შეადგენს, რაც კურსდამთავრებულთა რაოდენობას 82-ით აღემატება.**

ცალკეული სპეციალობების მიხედვით, სხვაობა კიდევ უფრო თვალსაჩინოა. **აგროინჟინერიაზე საშუალოდ მხოლოდ 16 სტუდენტი ირიცხება და 14 ამთავრებს, მაშინ, როდესაც ბაზარს წელიწადში 38 სპეციალისტი სჭირდება. მეცხოველეობის მიმართულებაზე ათი კურსდამთავრებულია, მოთხოვნა კი 31-ს შეადგენს.**

ვეტერინარიის პროგრამებზე წელიწადში, საშუალოდ, 110 სტუდენტი ირიცხება, მაგრამ სწავლას მხოლოდ რვა ასრულებს. ბაზრის საშუალო წლიური მოთხოვნა 31 ვეტერინარია, რაც კურსდამთავრებულთა რაოდენობას თითქმის ოთხჯერ აღემატება.

**ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიაში მოთხოვნა 84 კადრია, კურსდამთავრებულთა რაოდენობა კი 31-ს შეადგენს. სატყეო საქმეში 63 სპეციალისტის საჭიროებაზე მხოლოდ 16 კურსდამთავრებული მოდის. ეს დეფიციტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კლიმატის ცვლილების, წყლის რესურსების მართვისა და ფერმების ტექნოლოგიური განვითარების პირობებში. თანამედროვე სოფლის მეურნეობას მხოლოდ მიწაზე მომუშავე ადამიანები აღარ სჭირდება. აუცილებელია ტექნიკის, სარწყავი სისტემების, ცხოველთა ჯანმრთელობის, ნიადაგის ხარისხისა და სურსათის უსაფრთხოების სპეციალისტები.**

კვალიფიციური კადრების ნაკლებობა აფერხებს ტექნოლოგიების დანერგვასაც. მცირე და საშუალო მეურნეობებს ხშირად არა აქვთ შესაძლებლობა, მუდმივად დაიქირაონ ვეტერინარი ან აგროინჟინერი, ხოლო შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურება რეგიონებში ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის.

გარდა მუშახელის და პროფესიონალი კადრების დეფიციტისა, ადგილობრივი წარმოებისთვის პრობლემურია იმპორტთან კონკურენცია. ცნობილია, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქტის თვითღირებულება მაღალია, ამიტომ იაფ იმპორტთან გამკლავება ძალიან რთულია. ამის მიზეზი ისაა, რომ მეზობელ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგები სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებულია, რუსეთს კი, სანქციების გამო, ყველანაირი საქონლის გასაღება უჭირს, შესაბამისად, ფასის დაბლა დაწევით ცდილობს დააინტერესოს რეგიონის ქვეყნები.

**სწორედ რუსეთიდანაა მკვეთრად გაზრდილი ხორცისა და ხორცის სუბპროდუქტების იმპორტი, რომელმაც 2026 წლის პირველ ნახევარში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, იანვარ-ივნისში ქვეყანაში 123.766 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ხორცი და ხორცის სუბპროდუქტები შემოვიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 22%-ით მეტია. უფრო კონკრეტულად, 2025 წლის პირველ ექვს თვეში იმპორტის მოცულობა 101.355 მლნ დოლარს შეადგენდა.**

ხორცის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე **თამარ ჩხიკვიშვილი** ადასტურებს, რომ ქართული ხორცის თვითღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება იმპორტირებულის ფასს, რადგან ადგილობრივი მწარმოებლები ძვირად ყიდულობენ როგორც ცხოველს, ისე საკვებს, რომლის ნედლეულიც თითქმის მთლიანად იმპორტირებულია.

**„ქართული ხორცის თვითღირებულება იმპორტირებულის ფასს აღემატება, რადგან ადგილობრივი მწარმოებლები ძვირად ყიდულობენ, როგორც ცხოველს, ისე საკვებს, რომლის ნედლეულიც თითქმის მთლიანად იმპორტირებულია. იმპორტირებულ ხორცს ხშირად კონკურენტულ უპირატესობას აძლევს ისიც, რომ იმ ქვეყნებში ფერმერები სახელმწიფო სუბსიდიებით სარგებლობენ, საქართველოში კი მსგავსი მხარდაჭერა ნაკლებია“**, – ამბობს ასოციაციის თავმჯდომარე.

„ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას, იგი კიდევ ერთ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას, კერძოდ კი, საქართველოში დაბადებული ხბოების მზარდ ექსპორტზე. ამის გამო, ადგილობრივ ბაზარზე საკმარისი რაოდენობის მოზარდი პირუტყვი აღარ რჩება, შედეგად, ფერმერები იძულებულები ხდებიან, ცოცხალი საქონელი თავადვე შემოიყვანონ საზღვარგარეთიდან.

**„საქართველოში დაბადებული ხბოების ექსპორტი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა. შედეგად, ქვეყანაში არ იქმნება ის დოვლათი, რაც უნდა იქმნებოდეს. ფერმერებს რჩებათ მხოლოდ ერთი გზა – ცოცხალი საქონლის იმპორტი, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული“**, – აცხადებს **თამარ ჩხიკვიშვილი.**

ჩხიკვიშვილის ინფორმაციით, ასოციაცია, სახელმწიფოსთან ერთად, მუშაობას გეგმავს ისეთი მოდელის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ერთი მხრივ, ხბოების ექსპორტზე დამოკიდებულ ფერმერებს არ დააზარალებს, ხოლო მეორე მხრივ, ადგილობრივ ბაზარზე მეტი პირუტყვის დატოვებას შეუწყობს ხელს.

**ბექა დანელია**

# საშვილიშვილო საქმე – ჯილაურაში ეროვნული გენეტიკური ბანკის მშენებლობა დაიწყო



**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, ჯილაურის ბაზაზე ეროვნული გენეტიკური ბანკის მშენებლობა დაიწყო.**

როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, ეროვნული გენეტიკური ბანკის შექმნა საქართველოში მცენარეთა გენეტიკური რესურსების დაცვისა და შენარჩუნების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

**„საქართველო აგრობიომრავალფეროვნებით მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა და ქართული ვაზი, ხორბალი, ხეხილი და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები უნიკალურ გენეტიკურ რესურსს წარმოადგენს, რომლის დაცვა კლიმატის ცვლილებისა და გლობალური სასურსათო გამოწვევების პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.**

**ეროვნული გენეტიკური ბანკი თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების ინფრასტრუქტურა იქნება, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ქართული და მსოფლიო მნიშვნელობის მცენარეთა გენეტიკური რესურსების საშუალო და გრძელვადიანი შენახვა, კონსერვაცია და კვლევა. პროექტი მნიშვნელოვნად გააძლიერებს ქვეყნის შესაძლებლობებს აგრობიომრავალფეროვნების დაცვისა და სასურსათო უსაფრთხოების მიმართულებით, ასევე კიდევ უფრო განამტკიცებს საქართველოს პოზიციას მცენარეთა გენეტიკური რესურსების კონსერვაციის საერთაშორისო ქსელში“**, „ნათქვამია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**წელს საქართველოს პავილიონი ვენეციის 61-ე ბიენალეზე წარსდგა პროექტით „ახალი არგონავტები, საქართველოს გზაჯვარედინი“. (კურატორები: ნინო მეტრეველი, შალვა ხახანაშვილი). გამოფენა საერთაშორისო ხასიათისაა. მასში ქართველ მხატვრებთან ერთად უცხოელი ხელოვანებიც იღებენ მონაწილეობას. პავილიონს ყოველდღიურად მრავალი სტუმარი ჰყავს. იღებს მაღალ პროფესიონალურ შეფასებებს.**



**თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთმა წამყვანმა და მნიშვნელოვანმა ჟურნალმა „Canvas“ თავისი 2026 წლის გაზხულის ნომერი სრულად მიუძღვნა ვენეციის 61-ე ბიენალეს ვრცელ მიმოხილვას.**

**„საქართველოს რესპუბლიკის“ დღევანდელ ნომერში წარმოგიდგენთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ნინო მეტრეველთან — საქართველოს პავილიონის ერთ-ერთ კურატორთან.**




# „ახალი არგონავტები, საქართველოს გზაჯვარედინი“...

**– რატომ გახდა თანამედროვე არგონავტების ფიგურა მნიშვნელოვანი საქართველოსთვის 2026 წელს? ვინ იქნებოდნენ დღევანდელი თანამედროვე არგონავტები?**

– არგონავტების მითი ყოველთვის იყო დაკავშირებული საქართველოსთან – კოლხეთთან და ოქროს საწმისის ძიებასთან. თუმცა ჩვენთვის „თანამედროვე არგონავტის“ ფიგურა ნაკლებად უკავშირდება დაპყრობას და უფრო მეტად – მოძრაობასა და ტრანსფორმაციას. 2026 წლის საქართველო ერთდროულად რამდენიმე გარდამავალ მდგომარეობაში არსებობს – პოლიტიკურად, კულტურულად და გეოგრაფიულად. თანამედროვე არგონავტები არიან ხელოვანები, მკვლევრები და მოგზაურები, რომლებიც არასტაბილურ რეალობებში მოძრაობენ და ამავდროულად მეხსიერებას საზღვრებს მიღმა ატარებენ. ისინი ეძებენ არა მითურ ობიექტს, არამედ მიკუთვნებულობის, გადარჩენისა და მომავლის წარმოსახვის ფორმებს.

**– არგონავტების მითი დაკავშირებულია ზღვასთან და ნაოსნობასთან. იქონია თუ არა წყალმა ან ნავიგაციამ გავლენა გამოფენის დიზაინზე? ხედავთ თუ არა კავშირს ვენეციასთან?**

– წყალი პავილიონში იქცა როგორც ფიზიკურ, ისე სიმბოლურ სტრუქტურად. ვფიქრობდით მოქცევებზე, დინებაზე, პორტებზე, მარშრუტებსა და არასტაბილურ მიწაზე. გამოფენის დიზაინი ნაკლებად იყო ჩაფიქრებული როგორც ხაზოვანი ნარატივი და უფრო – როგორც ნავიგაციის სისტემა, სადაც დამთვალიერებელი გადაადგილდება ფრაგმენტებს, გადაკვეთებსა და ცვალებად პერსპექტივებს შორის. თავად ვენეციამაც დიდი გავლენა მოახდინა ამ აზროვნებაზე. ეს არის წყლით, გაცვლით, მოწყვლადობითა და ისტორიული სავაჭრო გზებით ფორმირებული ქალაქი. ამ თვალსაზრისით, ვენეცია ირეკლავს პავილიონის ბევრ იდეას – სამყაროთა შორის მოძრაობას, კულტურულ ცირკულაციას და გადაკვეთებზე აგებული ცივილიზაციების მყიფეობას.

**– როგორ ფუნქციონირებს მითოლოგია გამოფენაში?**

– მითოლოგია აქ არ აღიქმება როგორც ნოსტალგია ან ფოლკლორი. ის ფუნქციონირებს როგორც ცოცხალი სტრუქტურა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია თანამედროვე რეალობების გააზრება. მითები არსებობენ იმიტომ, რომ ისინი ადაპტირდებიან – ისინი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში აგრძელებენ საუბარს. პავილიონში მითოლოგია ხდება ენა, რომლის მეშვეობითაც განიხილება მიგრაცია, ძალაუფლება, ეკოლოგია, იდენტობა და კოლექტიური მეხსიერება. არგონავტების ისტორია თავიდან იკითხება არა როგორც გმირული ნარატივი, არამედ როგორც შეხვედრის, რისკისა და გაცვლის პოლიტიკის ისტორია.




საქართველოს პავილიონის კურატორები — ნინო მეტრეველი. შალვა ხახანაშვილი.

**– როგორ დააბალანსეთ ისტორიული ნარატივები და მითოლოგიური რეფერენსები თანამედროვე ხელოვნებასა და იდეებთან?**

– ვცდილობდით, მითოლოგია პირდაპირი ილუსტრაციის ფორმით არ წარმოგვედგინა. ამის ნაცვლად, ხელოვანები ისტორიულ მასალას კრიტიკულად და პოეტურად მიუდგნენ. ზოგი ნამუშევარი იყენებს საარქივო კვლევას, ზოგი – სპეკულაციურ ფიქციას, ხმას, ინსტალაციას, მოძრავ გამოსახულებას ან პერფორმანსს. ბალანსი გაჩნდა არა ჰარმონიით, არამედ დაძაბულობით – მეხსიერებასა და მომავლურობას, ფაქტსა და ფიქციას, არქეოლოგიასა და წარმოსახვას შორის. თანამედროვე ხელოვნებამ მითოლოგიას მისცა შესაძლებლობა, დარჩენილიყო ღია და არა ისტორიულ ინტერპრეტაციაში ჩაკეტილი.

**– როგორ უკავშირდება პავილიონი ბიენალეს ფართო თემას – In Minor Keys?**

– პავილიონი ძლიერ ეხმიანება „minor keys“-ის იდეას, რადგან ის ყურადღებას ამახვილებს უფრო ჩუმ, ხშირად უგულებელყოფილ ნარატივებზე და არა მონუმენტურ ისტორიებზე. ის უპირატესობას ანიჭებს პერიფერიულ ხმებს, ფრაგმენტულ მეხსიერებებს და წინააღმდეგობის დახვეწილ ფორმებს. თავად საქართველოც რთულ პოზიციას იკავებს ცენტრებსა და პერიფერიებს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ხილვადობასა და უხილავობას შორის. გამოფენა მუშაობს ნიუანსით, ატმოსფეროთი და მრავალშრიანი ემოციური ტონალობებით და არა გრანდიოზული განცხადებებით.

**– რა აკავშირებს პავილიონის ხელოვანებს? ერთიანდება თუ არა მათი ნამუშევრები კოლექტიურად, თუ ისინი ინდივიდუალურ ელემენტებად რჩებიან?**

– ხელოვანები სხვადასხვა პრაქტიკიდან და თაობიდან მოდიან, თუმცა მათ აერთიანებთ მგრძნობელობა გადაადგილების, მეხსიერებისა და ტრანსფორმაციის მიმართ. პავილიონი არ ცდილობს ერთი, ერთიანი განცხადების შექმნას – ის უფრო კონსტელაციას ჰგავს. თითოეული ნამუშევარი ინარჩუნებს საკუთარ ავტონომიას, თუმცა ამავე დროს მონაწილეობს უფრო ფართო ემოციურ და კონცეპტუალურ ლანდშაფტში. კავშირები თანდათანობით ჩნდება განმეორებადი კითხვების მეშვეობით და არა ხელოვნურად შექმნილი კურატორული ერთიანობით.

**– იყო თუ არა განმეორებადი მოტივები ან სიმბოლოები, რომლებიც პავილიონსა და ნამუშევრებში გამოიკვეთა?**

– დიახ – პროცესის განმავლობაში თითქმის ორგანულად გაჩნდა განმეორებადი მოტივები: წყალი, ზღურბლები, რუკები, ხომალდები, ენის ფრაგმენტები და ნავიგაციის ფორმები. ასევე ძლიერ იგრძნობოდა შეწყვეტილი მოგზაურობებისა და არასტაბილური არქიტექტურების არსებობა. ბევრი ნამუშევარი იკვლევდა, რას ნიშნავს არსებობა შუალედურ მდგომარეობაში – კულტურულად, გეოგრაფიულად ან ფსიქოლოგიურად.

**– სათაურის მეორე ნაწილი – ბეორგიან ჩროსსროადს – არის სავაჭრო და გეოგრაფიული გზაჯვარედინი თუ რაღაც უფრო შინაგანი, თუ ორივე ერთად?**

– ეს ნამდვილად ორივეა. საქართველო ისტორიულად არსებობდა იმპერიების, სავაჭრო გზების, რელიგიებისა და პოლიტიკური სისტემების გადაკვეთაზე. მაგრამ გზაჯვარედინის იდეა ასევე შინაგანია – ემოციური, ფსიქოლოგიური და კულტურული. ის ასახავს იდენტობის, ორიენტაციისა და ისტორიული მიმართულების კითხვებს. პავილიონი გზაჯვარედინს განიხილავს არა მხოლოდ როგორც გეოგრაფიულ მდგომარეობას, არამედ როგორც მუდმივი მოლაპარაკებისა და გარდაქმნის სივრცეს.

**– შეიცვალა თუ არა თქვენი გაგება იმის შესახებ, რას ნიშნავს გზაჯვარედინი გამოფენაზე მუშაობის პროცესში?**

– დიახ. თავდაპირველად ეს ტერმინი ჩემთვის ძირითადად გეოგრაფიასა და გეოპოლიტიკას უკავშირდებოდა. მაგრამ კურატორული პროცესის განმავლობაში ის უფრო ინტიმური და არასტაბილური გახდა. გზაჯვარედინი მხოლოდ შეხვედრის ადგილი არ არის – ის შეიძლება იყოს ყოყმანის, წინააღმდეგობის ან გახლეჩის სივრცეც. ის გულისხმობს მოძრაობას, მაგრამ ასევე გაურკვევლობას იმის შესახებ, თუ საით მიდის ეს მოძრაობა.

**– როგორ პასუხობს პავილიონი საქართველოს ამჟამინდელ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას?**

– პავილიონი არ ცდილობს პირდაპირ პოლიტიკურ კომენტარს ან ეროვნული იდენტობის გამარტივებულ წარმოდგენას. ამის ნაცვლად, ის ასახავს იმ ატმოსფეროს, რომელიც თან ახლავს მუდმივ ტრანსფორმაციაში ცხოვრებას. საზღვრების, სუვერენიტეტის, მიგრაციის, მეხსიერებისა და მიკუთვნებულობის საკითხები ბუნებრივად აყალიბებს ნამუშევრებს. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა პავილიონში ვლინდება განწყობით, დაძაბულობითა და სივრცითი ურთიერთობებით იმდენადვე, რამდენადაც პირდაპირი შინაარსით.

**– რა რისკები იყო აუცილებელი, რომ პავილიონს გაეღო? რა პასუხისმგებლობა აქვს კურატორს ეროვნული პავილიონის შექმნისას?**

– ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკი იყო წინააღმდეგობა იმ მოლოდინის მიმართ, რომ ეროვნულ პავილიონს უნდა წარმოედგინა ფიქსირებული და მარტივად აღსაქმელი ეროვნული იდენტობა. ეროვნული პავილიონი ადვილად შეიძლება გადაიქცეს სიმბოლურ ბრენდინგად, თუმცა ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო სირთულისა და მრავალმნიშვნელოვნების შენარჩუნება. კურატორის პასუხისმგებლობა მხოლოდ ქვეყნის წარმოდგენა არ არის – ის ასევე გულისხმობს ისეთი სივრცის შექმნას, სადაც რთული კითხვები ღიად დარჩება. მნიშვნელოვანია, რომ გამოფენაში ადგილი ჰქონდეს წინააღმდეგობას, მოწყვლადობასა და მრავალხმიანობას.

**– რა საუბრები გსურთ, რომ დამთვალიერებლებმა პავილიონიდან გასვლის შემდეგ გააგრძელონ?**

– იმედი მაქვს, დამთვალიერებლები გააგრძელებენ ფიქრს იმაზე, თუ როგორ აყალიბებენ მითები თანამედროვე პოლიტიკურ და კულტურულ რეალობებს, და როგორ განსაზღვრავს მოძრაობის ისტორია ჩვენს აწმყოს. უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ პავილიონმა გააჩინოს საქმიანი დიალოგი იმაზე, რას ნიშნავს გაურ-




ჟურნალ „ქანვასის“ ყდა.

კვევლობაში კოლექტიურად ნავიგაცია – საზღვრებს, თაობებსა და იდენტობებს შორის. საბოლოოდ, გამოფენა ნაკლებად ეხება პასუხებს და უფრო – დიალოგისა და წარმოსახვის შენარჩუნებას.

**– იყო თუ არა ერთი კონკრეტული ნამუშევარი ან ინსტალაცია, რომელიც თქვენთვის პავილიონის ემოციურ ცენტრად იქცა?**

– უფრო მეტად, ვიდრე ერთი კონკრეტული ნამუშევარი, ჩემთვის ემოციურად მნიშვნელოვანი გახდა რამდენიმე ნამუშევარს შორის წარმოქმნილი მომენტი – სივრცე, სადაც ხმა, სიჩუმე და მოძრაობა თითქოს ამცირებდა დროის სიჩქარეს და მაყურებელს აჩერებდა. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ პავილიონს მხოლოდ ინტელექტუალურად არ ემუშავა, არამედ ფიზიკურად და ემოციურადაც. განსაკუთრებით ერთმა ინსტალაციამ შექმნა შეჩერებული დროის განცდა – თითქოს ყოფნა გამგზავრებასა და ჩამოსვლას შორის. სწორედ ეს შეგრძნება – გაურკვევლობისა და მოლოდინის ერთდროულობა – გახდა მთლიანად პავილიონის ემოციური ატმოსფერო.

**– შეიცვალა თუ არა თქვენი გაგება □გზაჯვარედინის□შესახებ გამოფენაზე მუშაობის პროცესში?**

**– დიახ, ძალიან. თავიდან გზაჯვარედინს ისტორიულ და გეოგრაფიულ კონტექსტში აღვიქვამდი – საქართველოს, როგორც კონტინენტებს, იმპერიებსა და სავაჭრო გზებს შორის არსებულ სივრცეს. მაგრამ გამოფენაზე მუშაობის პროცესში ეს ტერმინი უფრო პირადი და ფსიქოლოგიური გახდა. გზაჯვარედინი შეიძლება ასევე აღწერდეს შინაგან მდგომარეობას: გაურკვევლობას, გარდამავალ მდგომარეობას, ფრაგმენტაციას ან განცდას, რომ ერთდროულად რამდენიმე იდენტობასა და მომავალს შორის არსებობ. დროთა განმავლობაში მას ნაკლებად აღვიქვამდი როგორც კავშირის წერტილს და უფრო – როგორც მუდმივი მოლაპარაკებისა და მერყეობის მდგომარეობას.**

**– რომელი საუბრები გსურდათ ყველაზე მეტად, რომ დამთვალიერებლებს პავილიონიდან გასვლის შემდეგ გაეგრძელებინათ?**

– იმედი მქონდა, რომ დამთვალიერებლები გააგრძელებდნენ ფიქრს იმაზე, **თუ როგორ აყალიბებს მითოლოგია დღემდე ჩვენს პოლიტიკურ და ემოციურ რეალობებს. თუმცა ამის მიღმაც მინდოდა, პავილიონს გაეხსნა საუბარი მოძრაობაზე – ვის აქვს თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა, ვინ არის იძულებით გადაადგილებული და რას ატარებენ ადამიანები საზღვრებს მიღმა საკუთარ თავთან ერთად.** ასევე იმედი მაქვს, რომ გამოფენა ხელს შეუწყობს ფიქრს იმაზე, თუ როგორ ნავიგირებენ პატარა ქვეყნები, როგორიც საქართველოა, ხილვადობას, მეხსიერებასა და კულტურულ იდენტობას უფრო ფართო გეოპოლიტიკურ სტრუქტურებში.

**– თუ არგონავტები დღეს თანამედროვე ფიგურებად იქცეოდნენ, მაინც ვინ იქნებოდნენ ისინი?**

– ვფიქრობ, დღევანდელი არგონავტები იქნებოდნენ ადამიანები, რომლებიც არასტაბილურ სამყაროში მოძრაობენ მკაფიო რუკების გარეშე: მიგრანტები, ხელოვანები, მკვლევრები, აქტივისტები, მეზღვაურები, პროგრამისტები, მთარგმნელები და ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად სხვადასხვა ენასა და სისტემას შორის გადაადგილდებიან. ისინი ეძებენ მიკუთვნებულობის ახალ ფორმებს და ამავდროულად თან დაატარებენ მეხსიერებისა და ისტორიის ფრაგმენტებს. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე არგონავტი ნაკლებად ჰგავს გმირ დამპყრობელს და უფრო – ადაპტაციის, მოწყვლადობისა და გამძლეობის ფიგურას ჩამოჰგავს.

**– რას ნიშნავს □ჩამოსვლა□ამ გამოფენაში – და საერთოდ შესაძლებელია თუ არა ჩამოსვლა?**

– გამოფენა სვამს კითხვას, არის თუ არა ჩამოსვლა ოდესმე საბოლოო. მითებში მოგზაურობები ხშირად დასრულებულ და გადაწყვეტილ ამბებად ჩანს, თუმცა თანამედროვე რეალობა ბევრად უფრო თხევადი და დაუმთავრებელია. აქ ჩამოსვლა დროებითია – უფრო პაუზა, ვიდრე დასასრული. ბევრი ნამუშევარი გარდამავალ მდგომარეობაში არსებობს, რაც მიანიშნებს, რომ იდენტობა, გეოგრაფია და მიკუთვნებულობა მუდმივად იცვლება. შესაძლოა, გამოფენა გვთავაზობს აზრს, რომ თავად მოგზაურობა იქცევა ერთადერთ სტაბილურ მდგომარეობად.

**– არის თუ არა ოქროს საწმისი ამ გამოფენაში რაღაც, რაც უნდა მოიძებნოს, დაცულ იქნას, მოიპაროს თუ მიატოვონ?**

– ოქროს საწმისი აქ უფრო ნაკლებად ჩნდება როგორც ობიექტი და უფრო – როგორც პროექცია; რაღაც, რასაც სხვადასხვა ადამიანები ესწრაფვიან, მითოლოგიზაციას უკეთებენ, იყენებენ ან მისდევენ. ისტორიულად ის სიმდიდრის, ძალაუფლებისა და დაპყრობის სიმბოლო იყო, მაგრამ გამოფენაში ის ბევრად უფრო ამბივალენტური ხდება. ზოგჯერ ის ჰგავს ცოდნას, მეხსიერებას ან თუნდაც სიცხადის ილუზიას. არ ვფიქრობ, რომ გამოფენა საწმისს გვთავაზობს როგორც რაღაცას, რასაც უბრალოდ შეიძლება ფლობდე. პირიქით, ის სვამს კითხვას –

**რა ემართებათ საზოგადოებებსა და ადამიანებს მაშინ, როდესაც ისინი საკუთარ ცხოვრებას სიმბოლური დაპირებების ძიების გარშემო აწყობენ.**

**ინტერვიუს უძღვებოდა**
**კატერინა ვიოლკი**




ანეტ ტურილო. „ოქროს საწმისი“ ინსტალაცია. 2026 წ.

# აკადემიკოს თამაზ შილაკაძეს კიდევ ერთი საპატიო წოდება მიენიჭა

2026 წლის 28 ივლისს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მამუკა თავხელიძემ** ეროვნული მეცნიერების და განათლების განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და უნივერსიტეტთან ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, ღვაწლმოსილ მეცნიერსა და პრაქტიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს **თამაზ შილაკაძეს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება, დიპლომი და მისი შესაბამისი ატრიბუტიკა გადასცა.

* * *

**ჩვენი გაზეთის თანამდგომსა და მუდამ სასურველ ავტორს, საქართველოს კულტურის ფონდის თავკაცს, გამოჩენილ მეგზევე-მშენებელს, სახელოვან მეცნიერს, ღვაწლმოსილ საზოგადო მოღვაწეს ბატონ თამაზ შილაკაძეს სულითა და გულით ვულოცავთ ამ აღიარებას!**



აკადემიკოსი თამაზ შილაკაძე და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე

# ალექსანდრე შერვაშიძის არქივი ლონდონში

**ლონდონში, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო აზიური საზოგადოების (დოყალ გსიატიც შოციეტყ) კოლექციაში დიდი ქართველი მხატვრის □ალექსანდრე შერვაშიძის არქივი აღმოჩნდა, □**ინფორმაციას სოციალურ ქსელში **გიორგი კალანდია** ავრცელებს.

**□ძალიან მაგარი ამბავი მაქვს!**

**ლონდონში, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო აზიური საზოგადოების (Royal Asiatic Society) კოლექციაში დიდი ქართველი მხატვრის □ ალექსანდრე შერვაშიძის არქივი აღმოჩნდა!**



**ამ აღმოჩენას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისიც ანიჭებს, რომ საუბარია სწორედ იმ ალექსანდრე შერვაშიძეზე, რომლის მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გასულ წელს აფხაზეთში გაჩენილ ხანძარს შეეწირა.**

**ალექსანდრე შერვაშიძე მავანმა რატომღაც □აფხაზ მხატვრად□გამოაცხადა. თუმცა თავად მხატვრის მიერ დატოვებული დოკუმენტები მის იდენტობასა და კულტურულ გარემოზე ბევრად უფრო მეტს და გაცილებით საინტერესოდ გვიყვება: იგი ხელს აწერდა შერვაშიძედ და არა ჩაჩბად, საკუთარ ფაქსიმილეს ქართული ასოებით ასრულებდა და მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ლონდონში მცხოვრებ ქართველებთან.ახლად აღმოჩენილი არქივი კიდევ ერთი თვალსაზრისით არის უაღრესად ძვირფასი: მასში დაცულია ალექსანდრე შერვაშიძის ხელით შედგენილი გენეალოგია, სადაც ქართული საგვარეულო სახლების წარმომადგენლებს, მათ შორის დადიანებს, არაერთხელ ვხვდებით.**

**ეს არქივი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი შენაძენია. მისი ციფრული ასლები ხელოვნების სასახლეში დაცულ ალექსანდრე შერვაშიძის კოლექციას შეემატება, რაც მკვლევრებს შესაძლებლობას მისცემს, მხატვრის ცხოვრებას, შემოქმედებას, ოჯახურ ისტორიასა და მის ქართულ კულტურულ კავშირებს კიდევ უფრო საფუძვლიანად გაეცნონ.განსაკუთრებული მადლობა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომლის დაფინანსებითაც ვიმყოფები ლონდონში და მაქვს შესაძლებლობა, ვიმუშაო ამ უმნიშვნელოვანეს მასალებზე.**

**ასევე უდიდესი მადლობა დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო აზიურ საზოგადოებას (Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland) მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის, რომლის წყალობითაც საშუალება მეძლევა, ვიმუშაო საზოგადოების კოლექციებში დაცულ ქართულ არქივებზე. ასეთი აღმოჩენების დროს განსაკუთრებით კარგად ხვდები, რამდენი ქართული ისტორია ჯერ კიდევ გველოდება მსოფლიოს არქივებში.**

**P.S.** ფოტოზე: ალექსანდრე შერვაშიძეს 100 წლის იუბილეს ულოცავს მონტეკარლოს მერი□



**ბესარიონ კილასონია**

**პროფესორი, სასამართლო ექიმი**

# გზა განჯიდან მთაწმინდამდე

**მეორე დღეს, გაზეთი □ივერია□აქვეყნებს □წერილი განჯიდამ□, რომელიც ნაწილობრივ იმეორებს ალ. ჭყონიას მიერ მოწოდებულ ცნობებს, მაგრამ ამასთან ერთად შეიცავს ზოგ ახალ დეტალსაც, რის გამოც გაზეთს საჭიროდ ჩაუთვლია მისი გამოქვეყნება. მე შევეხები ამ წერილიდან მხოლოდ ახალ დეტალებს:**

□ნათესავის საფლავის ქვა რომ არ ჩამოწოლილიყო, ქვა გადააგორეს იქით, განაგრძეს თხრა და ფხვიერი მიწაც გამოჩნდა. იქ დამსწრე ქართველობა, პოლიცია და აუარებელი გარეშე საზოგადოება ყველა სულგანაბული ჩაიცქირებოდა ნათხარში, თითქოს ყველას გაუარა ფიქრმა, რომ ნათესავის საფლავის ქვა ცოტად მოშორებით იყო და ეს ფხვიერი ნიადაგი □ კი სწორედ პოეტის სამარისა უნდა იყოს, ნათესავი იქით იქნებაო... და ცხადიც იყო, მიცვალებული ყოფილა პოტ-პორუჩიკი 21 დივიზიისა. მერმე შეამოწმეს საფლავის ქვის წარწერასთან და მაშინ □კი ყველანი დარწმუნდნენ, რომ პოეტის ნათესავის სამარე გაეთხარათ, სამოცდაათის წლის განსვენებულისა... დაიწყეს მარცხით თხრა..... კუბო თითქმის აღარ შენახულიყო. იპოვეს მხოლოდ მისი მოსართავის ბუზმენტის რამდენიმე ნაწყვეტი. მისივე გაყოლებით ჩონჩხიც ესვენა უმთავრეს ნაწილებად ანუ სახსრებად დაუმიწებელი. ტანთ საცმელისა აღმოჩნდა სერთუკის ოთხი თითბრის ფოლაქი მძიმედ ჟანგ მოდებული და დამპალის მაუდის ნაგლეჯებზე დაკიდებული. უცხო და საინტერესო იყო ერთი მაუდის ნაფლეთთაგანი, როგორც ჰსჩანდა, სახელოსი, ზედ სამოქალაქო უწყების მუნდირის ოქრომკედის კანტი და მასზე კიდე ფოლაქი. ფეხთ საცვლისა კი იპოვეს ცალი ლანჩა, ცალი ქუსლი და ცალიც საპირე ყელითურთ, როგორც ჰსჩანდა, ძველებურის ქართულის სამოგვის წაღისა, რადგან შესაკვრელი თასმები ზედვე ჰქონდა.

ფრთა შესხმულმა იმედმა აღმაფრენა დაიწყო. ყოველივე ნიშანი უტყუარად ამტკიცებდა პოეტის გვამსა. მისი დის თქმული □მარჯვნით□მდებარეობაც ეხლა ადვილი გასაგები გახდა და როცა უთქვამს მამა მიხეილისათვის მარჯვნით მდებარეობს ჩემი ძმაო, მაშინ იგი, როგორც ჭირისუფალი, მიცვალებულის ფეხთით მდგარა და პანაშვიდი ისე გადაუხდევინებია... თავის ქალა დაუშლელი იყო. უმთავრესი სახსრები როგორც ზედა, ისე ქვედა ტანისა გაუხრწნელი და შეუმუსვრელი იყო და განსვენებული მგოსანი, როგორც იქ დამსწრე ერთმა ექიმმა სთქვა, მოსული ვაჟკაცი ყოფილა. თავის ქალა ამასთანავე საკმაოდ დიდი იყო...□

1893 წლის 25 აპრილს დილას ახლად გამოსული □ივერიის□პირველ გვერდზე მსხვილი შრიფტით აწყობილია: □დღეს დიდუბეში მიაბარებენ მიწას თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს□.

□ნახევარი □საუკუნის შემდეგ ნ. ბარათაშვილის ძვირფასი ნეშტი დაუბრუნდა სამშობლო ქვეყანას!

ქართველი ერი სასოებით და მოწიწებით მოელოდა ამ დიდებულ წამს!

დიდი ხნის სურვილი ქვეყნისა, რომ პოეტი დამარხულიყო მშობლიურ მიწაში □აღსრულდა!□

გაზეთ □ივერიის□27 აპრილის ნომერში აღწერილია პოეტის დაკრძალვის დღე, რომლის გაცნობის შემდეგ, დიდი სურვილი გამიჩნდა, ეს მღელვარება დღევანდელ თაობასაც განვაცდევინო:

□კვირა დილას, 25 აპრილს, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ტფილისის რკინის გზის ვაგზალზე, საცა მოელოდნენ ბარათაშვილის ნეშტს განჯიდამ ვაგზლის არემარესა და თვით მისასვლელ მოედანზე ჭედვა იყო, იმოდენა საზოგადოებას მოეკრიბა თავი. რკინის გზის ბაქანზე იდგა შემოსილი ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე არქიმანდრიტებითა და სამღვდელოებით. აქვე იყვნენ წარმომადგენელნი ქართველი ინტელიგენციისა და მაღალის საზოგადოებისა, თავადაზნაურთა წინამძღოლნი, დეპუტატები სხვადასხვა ქალაქებისა და დაწესებულებათა გვირგვინებითა პოეტის კუბოს შესამკობლად. 9 საათზე მოვიდა მატარებელი და ვაგონიდამ გადმოასვენეს კუბო ძვირფასის ნეშტით. კუბოს მოჰყვნენ პოეტის ნათესავი, ღვიძლი ბიძაშვილი თ. გ. ი. ორბელიანი და სხვა პატივცემულნი ქართველნი, რომელიც



# პორტრეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა



**დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე ნ. ბარათაშვილის გადასვენება. მარცხნიდან მარჯვნივ კუბოსთან დგანან: პ. კეშელავა, ს. კლდიაშვილი, ს.ლეონიძე, გ.სუმბათაშვილი (პოეტის დისწული), ა.მირცხულავა, გრ. ცეცხლაძე, შ.დადიანი, გ.ხეჩუაშვილი, პ.ინგოროყვა, ი.მოსაშვილი, დ. ბედაშვილი, პროფ.ვლ.ჟღენტი, ა.ქუთათელი, კ.გამსახურდია, გ.ლეონიძე. ჩამუხლულნი არიან: რ.გვეტაძე, ირ.აბაშიძე.**

გაგზავნილი იყვნენ განჯას. მცირე პანაშვიდის შემდეგ ნეშტი გადმოასვენეს ვაგზლიდამ სამგლოვიარო □წმიდაო ღმერთოს□-ს გალობით. აქ, ვაგზალთან, ამოდენა ხალხმა მუხლი მოიდრიკა და პატივი სცა დიდებულის მგოსნის ცხედარს. შედეგ ეს აუარებელი და ზღვა ხალხი დაიძრა და გაემართა ლიტანიით დიდუბისაკენ. ამფიონი შემკული იყო ძვირფასის სხვადასხვა გვარის გვირგვინებით, კუბო ხელში ეჭირათ: ხან ქალებს, ხან ახალგაზრდობას, ხან ნათესავებს და ისე მოასვენებდნენ. გზა-გზა რამდენიმე ხორო გალობდა: ხორო ქალებისაც, სასულიერო სემინარიის შეგირდებისაც, სათავადაზნაურო სკოლის მოწაფეთა და მაქსიმე შარაძისა და ფ. ქორიძის ხელმძღვანელობით. ქალების ხორო შეედგინა ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის კურსდამთავრებულ შეგირდებისაგან მღვდელს მამა ვ.კარბელაშვილს. როცა ლიტანია მიუახლოვდა ეკლესიას, ხალხმა კვლავ მოიდრიკა მუხლი, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ წარმოსთქვა შესაფერი და გრძნობით სავსე სიტყვა. თვით ეკლესიაში სიტყვა სთქვა ზიარების დროს მღვდელმა ცინცაძემ. ფოტოგრაფმა რამდენჯერმე გადაიღო სურათი პროცესისა. წირვის გათავების შემდეგ საფლავზე გადახდილი იქმნა კვლავ მცირე პანაშვიდი და წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა. სიტყვები და ლექსები წარმოსთქვეს თ. აკაკი წერეთელმა, თ. ილ. ჭავჭავაძემ, კნ.ნ.ორბელიანისამ, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ლოლუამ, ქუტაისის დეპუტატმა დ. ბაქრაძემ, გ. წერეთელმა, სომეხთა ახალგაზრდა პოეტმა ბ-ნმა თუმანიანცმა, თ. ბიძინა ჩოლოყაშვილმა და სხვა.□

თბილისის ვაგზალი გადაჭედილი დახვდა ნეშტის ჩამოსვენებას. პოეტის ნეშტთან მუხლის მოდრეკამ, გალობით დიდუბის ეკლესიამდე ხელით გადასვენებამ და ილიას და აკაკის დიდებულმა სიტყვებმა ჩვენი ერის სულიერი გამოფხიზლება და აღფრთოვანება გამოიწვია. ამ პროცესს თბილისის ჟანდარმერიის უფროსი შეშფოთებული აღწერს და 1894 წლის 7 მარტს პეტერბურგს საიდუმლოოდ მოახსენებს: □ქართველებმა ხელახლად წამოაყენეს მივიწყებული საკითხი განჯიდან თბილისში ქართველი პოეტის ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებისა. ნ.ბარათაშვილი გარდაიცვალა ამ საუკუნის დამდეგს და დასაფლავებული იყო განჯაში. განსაკუთრებული მიზნით მოთხარეს მიწიდან რაღაც ძვლები და ეროვნული პოეტის ნეშტის სახით გადმოასვენეს თბილისში, სადაც ამ ნეშტს მიეგება მრავალათასიანი საზოგადოება და დიდი პატივით და მოწიწებით მიაბარეს მიწას. კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა. არა თუ ყველა წოდების პირნი ეცილებოდნენ ერთმანეთს მის წაღებაში, არამედ ქალებიც კი ცდილობდნენ როგორმე რამდენიმე ნაბიჯზე კუბოს გასვენებაში მონაწილეობა მიეღოთ. დედებს მოეყვანათ თავისი პატარა შვილები, აჩოქებდნენ კუბოს წინ და თაყვანს სცემდნენ კუბოს, როგორც წმინდანის ნეშტს□.

**აქ შეიძლება დამემთავრებინა ჩემი თხრობა, მაგრამ გაზეთ □ივერიაში□ზემოთ მოხსენებული დაკრძალვის ცერემონიალის გაცნობამ გამახსენა ბატონ რეზო თაბუკაშვილის მიერ იტალიიდან მიხეილ თამარაშვილის ნეშტის ჩამოსვენების ამბავი. დიდუბის პანთეონში დაკრძალვის წინა დღეს, საღამოს დამირეკა პროფესორმა თამარ დეკანოსიძემ და მითხრა, კათედრაზე მივსულიყავი, რადგან აპირებდნენ მიხეილ თამარაშვილის ნეშტის კათედრაზე მოსვენებას და ექსპერტიზის ჩატარებას; აინტერესებდათ, აღენიშნებოდა თუ არა თავის ქალაზე ტრავმის ნიშნები. მთელი ღამე გაგვათენებინეს და ნეშტი არ გადმოიტანეს, რესპუბლიკის პირველი პირი მოსკოვში იმყოფებოდა და, როგორც ჩვენ გადმოგვცეს, რესპუბლიკის მეორე პირმა ვერ აიღო თავის თავზე მიხეილ თამარაშვილის კუბოს გახსნა და ჭეშმარიტების დადგენის მცდელობა.**

**მეორე დღეს, 1978 წლის 26 ნოემბერს, როდესაც მიხეილ თამარაშვილი ხელოვნების მუზეუმის შენობიდან გამოასვენეს და სურდათ მისი კატაფალკაზე დასვენება, ახალგაზრდებმა დაკრძალვის ორგანიზატორებს ამის საშუალება არ მივეცით და ხელით მივასვენეთ დიდუბის პანთეონამდე. დღესაც მახსოვს ნოემბრის ცივი და ქარიანი დღე, ხალხით სავსე რუსთაველი, საოცარი სიჩუმე და ამ სიჩუმეში მიმოფანტული ჭადრის ფოთლების ხმა და ეკლესიის ზარების რეკვა. ყველა ცდილობდა კუბოზე ხელი მოეკიდა და მცირე მანძილით მაინც ეტარებინა საქართველოსათვის დამაშვრალი დიდი პატრიოტის ნეშტი.**

**□ქართველების ერთად ყოფნა დამილოცე ღმერთო!□**

* * *

**1938 წლის 15 ოქტომბერს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე გადაასვენეს. გადამსვენებელი კომისიის წევრები იყვნენ მწერლები: ალიო მაშაშვილი (კომისიის თავმჯდომარე), შალვა დადიანი, გიორგი ლეონიძე და ილო მოსაშვილი, პროფესორი ვლადიმერ ჟღენტი და დოცენტი არკადი ჯორბენაძე. ვლ. ჟღენტმა ასისტენტთან ა. ჯორბენაძესთან ერთად დაათვალიერა დაააწყო ჩონჩხი. პოეტის ჩონჩხი მთლიანად შენახული აღმოჩნდა. გაზეთ □კომუნისტის“ 1938 წლის 243-ე ნომერში ვკითხულობთ: □ჩონჩხის აღდგენის სურათი ადასტურებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი საშუალო ტანისა და ძვალ მსხვილი კაცი ყოფილა. როგორც ცნობილია, ნიკოლოზ ბარათაშვილი ოდნავ კოჭლი იყო. მეცნიერულმა ექსპერტიზამ ფეხის მარცხენა ქვედა კიდურზე დაადასტურა დაკოჟიჟება.**

თავის ქალა საშუალო ზომისაა, კარგად შენახული. კუბოში აღმოჩნდა აგრეთვე ძველებური ქართული ფეხსაცმლის ლანჩა და ქუსლი, აგრეთვე პოეტის ტანსაცმლის ერთი თითბრის ღილი“. გადასვენებას ქართველ მწერლებთან სერგო კლდიაშვილთან, ირაკლი აბაშიძესთან, ლადო ასათიანთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, სიმონ ჩიქოვანთან, ალექსანდრე გომიაშვილთან, სანდრო ეულთან და სხვებთან ერთად დაესწრო პოეტის დისწული გიორგი სუმბათაშვილი. სერგო კლდიაშვილი გადასვენების დღეს ასე იხსენებს: □აკლდამა, რომელშიც ჩასვენებული იყო კუბო, დიდი წვალების შემდეგ ჩასტეხეს მუშებმა. კუბოს სახურავი გატყდა და გამოჩნდა ცინკის ყუთი. იქ ესვენა ნეშტი. ყუთზე იდო ფაიფურისაგან გაკეთებული ვარდების კონა. ერთი ვარდი მე წავიღე, მეორე შალვა აფხაიძემ, კიდევ პავლე ინგოროყვამ და რაჟდენ გვეტაძემ. ყუთი ახალ კუბოში ჩავასვენეთ და მთაწმინდისკენ მანქანით წავიღეთ. მთაწმინდაზე ასვლისას ყუთი გახსნეს. ყუთში აღმოჩნდა კარგად შენახული თავის ქალა და ძვლები, ყველაფერი დაშლილი, ცალკე იყო. ორ შეერთებულ მაგიდაზე დაალაგა ძვლები პროფესორმა ჟღენტმა და შემდეგ ააწყო ჩონჩხი. თავის ქალაში, სადაც ოდესღაც უკვდავი ლექსები იბადებოდნენ, პროფესორი ახლა ხელს უყოფდა და სწმენდდა. მარცხენა ფეხზე კოჭთან პროფესორმა უმნიშვნელო ანომალია შენიშნა. მეხსიერებაში გაცოცხლდა ის დღეც, როცა ცელქმა ბავშვმა ფეხი იტკინა. ლამაზი, მრგვალი, პატარა თავის ქალა თვალის ორი ცარიელი ღრუთი გვიყურებდა. სიზმარი ხომ არ ყოფილა, რაც გარშემო ხდებოდა? ძვლები ისევ აშალეს და ახალ ცინკის ყუთში, პატარა კუბოში ჩაასვენეს. ეს პატარა კუბო შემდეგ დიდ კუბოში მოვათავსეთ და ახლა, ალბათ სამუდამოდ, აკლდამაში ჩავასვენეთ. დღის ორ საათზე დავბრუნდით და დიდი პოეტის შესანდობარი დავლიეთ.“

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №99-100, 101-102, 103-104, 105-106**

საქართველოს რესპუბლიკა



**დავით ახლოური:**

**საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გორის უნივერსიტეტის პროფესორი.**

# თვალი გავუსწოროთ მომავალს



სოფელი თინიკაანი

## სახევისთავოს ცენტრი

**ქარჩოხის თემის სოფელი თინიკაანი მდებარეობს მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს, ახალგორიდან 34 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1520 მეტრზე. სოფლის სახელწოდება აქ დასახლებული თინიკაშვილებიდან მოდის.**

მათი წინაპარი ფშაველი გაბიდაური ქსანზე სოფელ ხოშარადან გადმოსახლებულა, რაზეც ცნობილი ეთნოგრაფი რ. თოფჩიშვილიც ამახვილებს ყურადღებას: „**საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ თინიკაშვილები ქსნის ხეობაში მიგრირებულნი არიან ფშავიდან და მათი ადრინდელი გვარი იყო გაბიდაური**“. შემდგომში თინიკაშვილებიდან მომდინარე გვარებია: **ახლოური, ბალაშვილი, ხოკრიშვილი, დადეგაშვილი...**

თინიკაანი ისტორიული სოფელია; 1985 წლის ივლისში საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს პასპორტიზაციის განყოფილების ექსპედიციამ სწორედ თინიკაანის ადრეფეოდალური ხანის სამების ეკლესიაში მიაკვლია ხევისთავის ინსიგნიას, რომელიც საკურთხეველზე იდო. ეს გახლდათ ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ოვალური ფორმის შტანდარტის შუა, ძირითადი ნაწილი. იგი შემდგომში გადატანილი იქნა ქსნის ხეობის ისტორიის, არქეოლოგიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალში. მისი დათარიღების სავარაუდო ვერსია ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნეა. ექსპედიციის მონაწილის, ქსნის ხეობის ისტორიის ცნობილი მკვლევარის ვ. ღუნაშვილის დასკვნით: „დღევანდელი ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე, ქსნის ხეობაში, არასრულ არქეოლოგიურ მონაპოვართა შედეგად ადრეანტიკურ ხანაში – ძვ. წ. IV ს. ოთხ ადგილას ლოკალიზდება სახევისთავო ცენტრები: საძეგურის, ყანჩაეთის, იკოთის და თინიკაანის სახით... ადრეანტიკური ხანის შტანდარტი, როგორც ხევისთავის ინსიგნია, შესაძლებელია, ხმარებაში ყოფილიყო, როგორც წინაფეოდალურ ასევე ფეოდალურ პერიოდში, სანამ არსებობდა მცირე ადმინისტრაციული ერთეულები – ხევები“.

სამების ეკლესია დარბაზული სახისაა, აგებულია მოწითალო ფლეთილი ქვით, ჩრდილოეთით ტაძრის აგების თანადროული მინაშენი აქვს, რომელსაც უკავშირდება ჩრდილოეთ კედელში გაჭრილი კარი. ეკლესიის კამარა ცილინდრულია. აღმოსავლეთით ცენტრში გაჭრილი სარკმლის ძირში და საკურთხევლის ცენტრში განლაგებულია ტრაპეზის ქვები. არქიტავრული სარკმელი დასავლეთ კედელშიცაა განთავსებული. სარკმლების თავზე ფილებია, რომელებზეც ბოლნური ჯვრებია გამოსახული. მინაშენის ინტერიერში, სამხრეთ კედელზე შემორჩენილია ბრტყელი, ვერტიკალური შვერილი (პილასტრი), რომელზეც დაბჯენილია კედლის თაღები.

როგორც ალევის, ისე თინიკაანის სამებას, ოქროსკარიანის სახელით იხსენიებდნენ, ჭიშკარი მოჭედილ-მოვარაყებული ყოფილა ოქროს ფურცლებით და ძვირფასი ქვებით. სამლოცველოს გალავნის შიგნით, რომელიც 706 კვ. მეტრია, დასავლეთით მიშენებული ჰქონდა მარანი და საქვაბე, სალოცავს ამშვენებდა ადრეული ხანის ფრესკები, რომელიც დღეს წვიმის წყლითაა ჩამორეცხილი... ოქრო-ვერცხლის ყოფილა საეკლესიო ინვენტარი, მათ შორის ხატ-ჯვრები. სახევისთავოს სასულიერო ცენტრს ტრადიციულად სწირავდნენ ოქროს ფულს. წლების განმავლობაში მოგროვილი განძის მეშვეობით მოავარაყეს ჭიშკარი. სამწუხაროდ, სამლოცველო უწმინდური ხელის მიერ გაიძარცვა, წაღებულ იქნა როგორც ხატები, ჯვრები, ისე ჯვარგამოსახული ოქროს კარები... სოფლის უხუცესთა გადმოცემით, განძის ხელმყოფი კაცის ოჯახი ამოწყვეტილა...

12 გვარი ლოცულობდა სამებაში: **თინიკაშვილები, ბალაშვილები, ახლოურები, ხოკრიშვილები, კარელიძეები, პავლიაშვილები, ლოთიშვილები, ელოშვილები, ოგბაძეები, წიპტაურები,** შატაკიშვილები, წიკლაურები. დღესასწაული იმართებოდა ამაღლებიდან მეთერთმეტე დღეს.

სოფლის ღირშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია აგრეთვე გვიანი შუა საუკუნეების ერთაბრძანებულობის ეკლესია, რომელიც სასაფლაოს ტერიტორიაზეა აგებული სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. შემორჩენილი კედლებიდან ყველაზე მაღალი დასავლეთის კედელია.



ლომისობის დღესასწაული ქსნის ხეობაში

აღმოსავლეთით ქარჩოხის მკვიდრს ვასო პავლიაშვილს მცირე სათავსი აუშენებია, სადაც „ლომისის“ სახელობის, ვერცხლის ფირფიტებით მოპირკეთებულ ტოლმკლავა ჯვარს ინახავდნენ. ცენტრში დისკზე ყვავილია გამოსახული, შუაგულში კი სერდოლიტის ძვირფასი ქვა არის ჩასმული. ვერცხლის ბურთულაზე დამაგრებულ ჯვარზე ამოკაწრულია მხედრული წარწერა:

„ობაფის, კა, მევნი ქყლ: ლომისა მთავარ; მოწამე, წმინდა გიორგი, ჩავლელ, ხორასნს, წვლებით, მოველ, მოგებით, გუკლეთებივარ, პავლეთ, შვლებთ, თავსი, საქონლი და მ.“ ტაძარში ინახება დიდი ზომის წმინდა გიორგის ვერცხლის ჯვარი, რომელიც ჭედური ხელოვნების ნიმუშია. შემთხვევითი არაა ერთაბრძანებულობის ტაძარში პავლიაშვილის მიერ ლომისის ჯვრისთვის სათავსოს აგება და მასზე ზრუნვა, როგორც გ. ჯალაბაძე აღნიშნავს: „თინიკაშვილების და პავლიაშვილების, აგრეთვე დოჩიაშვილების და ელოშვილების სახელოს შეადგენდა ლომისის დეკანოზობა და მნათეობა“. ისტორიულად ცნობილია, რომ მტერზე გამარჯვების აღსანიშნავად, ადრექრისტიანულ ხანაში ქარჩოხელებს სამღვთო პატიოსანის სახელზე სალოცავი აუშენებიათ, რომლის ხატები და ჯვრები თინიკაანში ინახებოდა. საღვთოობას მთიელები აღდგომიდან 51-ე დღეს აღნიშნავდნენ, სწირავდნენ საკლავს, ხდიდნენ დიკის არაყს, ქვავისგან ხარშავდნენ ლუდს. „სამღვთოს ხატ-ჯვარს ერთაბრძანებულებიდან თავის დროშებით გამოაბრძანებდნენ ხატობის წინა დღისით დეკანოზების, მნათეების, ტარასტის ხელდასხმით. იარაღში ჩამჯდარი ახალგაზრდა ყმაწვილკაცების გუნდთან ერთად გაივლიდნენ ქართულ-ოსურ სოფლებს, რომელთაც ყველას თავისი ბიჯა (საჭმელ-სასმელი – **დ. ა.**) გამოჰქონდათ. იმართებოდა ლუდის სმა, ხანმოკლე ქეიფი. ბოლოს ხატს მიაბრძანებდნენ სამღვთოს სალოცავში, სადაც კვლავ გაახელებდნენ ლუდის სმას და ქეიფს ღამის მთევლები.

მეორე დღეს იმართებოდა დღეობა, დამწყალობება, საკლავების დაკვლა, ერთურთის გაცნობა, ცეკვა-სიმღერა. დღის ბოლოს დეკანოზთა ხელით ხდებოდა ხატ-ჯვრისა და დროშების წაბრძანება სოფელ თინიკაანში ერთაბრძანებულების სალოცავში“ (ვ. ქენქაძე). ბოლო დროს ერთაბრძანებულში ლომისობის დღესასწაულს აღნიშნავდნენ. დეკანოზები ხვთისო და ანზორ პავლიაშვილები იყვნენ. ლომისობა ოთხშაბათს აღინიშნება. სამშაბათს 5 საათიდან უკვე უქმობდნენ. დეკანოზი ხატებს ლომისაში წააბრძანებდა, იშლებოდა პურმარილი, ინთებოდა სანთელი. ღამისთევის შემდეგ ხატებს და ჯვრებს პავლიანის ხუთსართულიან კოშკში დააბრძანებდნენ, იქ რჩებოდა შაბათამდე. შაბათს თინიკაანში დააბრუნებდნენ, კიდევ ერთხელ გაიშლებოდა სუფრა, შესწირავდნენ საკლავს.

სანამ მოსახლეობა „ლომისობის შაბათს“ აღნიშნავდა, ხატები გარეთ იყო დაბრძანებული, მათი სალოცავში დავანების შემდეგ რიტუალი დასრულდებოდა.

თინიკაანში, სოფლის სასაფლაოზე, სადაც ადრე ღვთისმშობლის ეკლესია მდგარა, აგებულია ასევე ნიში, რომელიც XX საუკუნით თარიღდება. ძველი ეკლესიის ნაშთებიდან ჩვენამდე საძირკვლის მცირე ფრაგმენტია მოღწეული. ნიშის ასაგებად გამოყენებულია შირიმის ქვა.

სოფელში შემორჩენილია კვადრატულ ფორმასთან მიახლოვებული შუა საუკუნეების კვირაცხოვლის ნაგებობის ნაშთი. მასალად ფლეთილი ქვაა გამოყენებული. სახურავი ჩამონგრეულია და სალოცავის შიდა ნაწილი მიწით და ქვითაა დაფარული.

სოფლის უკან, დაახლოებით 300 მეტრის მოშორებით მდებარეობს ყვავილების ნიში, რომელიც ბოლო დრომდე მოქმედი იყო; სოფლის მკვიდრის – მარი თინიკაშვილის ცნობით (დაბ., 1886 წელს) კვირაცხოვლობიდან ერთი კვირის შემდეგ, მომდევნო ორშაბათს, რომელიც უქმე დღედ ითვლებოდა, სალოცავისთვის აცხობდნენ ტკბილეულს და ანთებდნენ ბაზმებს. ბაზმა ეწოდებოდა ტაფაზე დახლილ ცეცხლწაკიდებულ ნიგოზს... სალოცავი გავშვებისთვის იყო განკუთვნილი... იქვე მდგარა ხურდა ფულის შესაწირად განკუთვნილი რკინის დიდი ზომის ჭიქა.

**(გაგრძელება იქნება)**



სოფელ თინიკაანის ეკლესია

**გაგრძელება, დასაწყისი**

იხილეთ „სრ“ №59-60, 61-62, 63-64, 65-66, 91-92, 93-94, 95-96, 99-100



**მიხეილ სარჯველაძე:**

**„ჯანდაცვის სამინისტრო ცისტური ფიბროზის მქონე პაციენტებისთვის ინოვაციურ მედიკამენტ „ტრიკაფტას“ შეიძენს, ამ მედიკამენტის დანერგვა ბევრი ბავშვისთვის და ოჯახისთვის იქნება გარდამტეხი ეტაპი სრულიად ახალი, უფრო ჯანმრთელი ცხოვრებისთვის, რასაც ყველას ვუსურვებ“**

# ცისტური ფიბროზი ბავშვებს ველარ წაგვართმევს!

**იშვიათი დაავადებების სამკურნალო სახელმწიფო პროგრამა კიდევ გაფართოვდა. ჯანდაცვის სამინისტრო ცისტური ფიბროზის მქონე პაციენტებისთვის ინოვაციურ მედიკამენტ „ტრიკაფტას“ შეისყიდის.**

აღნიშნულთან დაკავშირებით, ჯანდაცვის მინისტრმა **მიხეილ სარჯველაძემ** 11 აგვისტოს ბრიფინგი გამართა. მინისტრის განცხადებით, პრეპარატის მწარმოებელ ამერიკულ ბიოფარმაცევტულ კომპანია „ვერტექს ფარმასიუტიკალსთან“ ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია.

**მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, „ტრიკაფტა“ ავტორიზებულია აშშ-ის სურსათისა და წამლის ადმინისტრაციისა (FDA) და ევროპის წამლის სააგენტოს (EMA) მიერ 2 წლისა და უფროსი ასაკის იმ პაციენტებისთვის, რომელთა გენეტიკური მუტაციები შესაბამება დამტკიცებულ ჩვენებებს.**

ინოვაციური თერაპია პირდაპირ მოქმედებს დაავადების გამომწვევ გენეტიკურ დეფექტზე და პაციენტებში მნიშვნელოვნად ზრდის ფილტვების ფუნქციის მაჩვენებლებს. მკურნალობა ასევე მნიშვნელოვნად ამცირებს პულმონოლოგიური გამწვავებების სიხშირესა და ჰოსპიტალიზაციის საჭიროებას „რეალურ მონაცემებზე დაფუძნებული კვლევების მიხედვით, აღნიშნული შემცირება საერთო ჯამში 76%-ს აღწევს, რაც დადასტურებულია არა მხოლოდ კვლევებით, არამედ კლინიკური პრაქტიკით და მტკიცებულებებით.

**„მინდა, საზოგადოებას გავაცნო ინფორმაცია იშვიათი დაავადებების მართვის პროგრამის მორიგი, მნიშვნელოვანი გაფართოების თაობაზე. საქმე ამჯერად ეხება ცისტური ფიბროზის იგივე მუკოვისციდოზის, იშვიათი გენეტიკური, ამ ძალიან ვერაგი და მძიმე დაავადების მართვას. ეს არის გენის მუტაციით გამოწვეული სერიოზული დაავადება, რომელიც ორგანიზმში იწვევს სქელი, წებოვანი ლორწოს წარმოქმნას. დაავადება უპირველესად მძიმედ აზიანებს სასუნთქ სისტემას, იწვევს სასუნთქი გზების ქრონიკულ ანთებას და ფილტვების ფუნქციის პროგრესულ გაუარესებას, მათ შორის სუნთქვის უკმარისობას. დაავადება ასევე აზიანებს საჭმლის მომნელებელ სისტემას, პანკრეასს და სხვა ორგანოებს. დაავადება ზემოქმედებს სიცოცხლის ხანგრძლივობაზეც და ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვან გაუარესებასაც იწვევს და ეს უკიდურესად მძიმედ წარმოჩინდება ბავშვებში.**

**ამიტომ, უპირველესად მშობლებთან სახელმწიფოს წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, ცისტური ფიბროზის მკურნალობისთვის განკუთვნილი დღეისათვის ყველაზე ეფექტიანი მედიკამენტის სახელმწიფოს მიერ შეძენის შესახებ იქნა მიღებული გადაწყვეტილება“** – განაცხადა **მიხეილ სარჯველაძემ.**

მინისტრის განცხადებით, სამინისტრო აქტიურად გააგრძელებს მედიკამენტის დანერგვისთვის საჭირო პროცედურებზე მუშაობას და „ტრიკაფტას“ პაციენტებისთვის მიწოდების პროცესი სექტემბერში დაიწყება.

**„დადასტურებულად შეგვიძლია იმის თქმა, რომ ამ მედიკამენტის დანერგვა ბევრი ბავშვისთვის, ბევრი ოჯახისთვის იქნება გარდამტეხი ეტაპი სრულიად ახალი, უფრო ჯანმრთელი ცხოვრებისთვის, რასაც ყველას ვუსურვებ.**

**მინდა, აქვე დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას და პირადად საქართველოს პრემიერ-მინისტრს ამ გადაწყვეტილებისთვის და საკუთრივ პროცესის მთლიანად მხარდაჭერისთვის.**

**საქართველო იქნება იმ არცთუ ბევრ სახელმწიფოს შორის, რომლებსაც საკუთარ სახელმწიფო პროგრამაში, სახელმწიფოს სრული დაფინანსებით ექნება დანერგილი ეს ძვირადღირებული მედიკამენტი.**

**მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მშობლებს ჩართულობისთვის, თანამშრომლობისთვის, მათ შორის, გასული წლის მიწურულს ამ დაავადების მართვის პროგრამის გაფართოების წინა ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპის წარმატებით წარმართვისთვის, ამ რთული პროცესის ერთად გავლისთვის, გამძლეობისა და მოთმინებისთვის. ყველაფერი ეს გადამწყვეტი იყო დღევანდელი წარმატების მიღწევისთვის“** – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.

**ჯანდაცვის სამინისტრო, სამედიცინო საზოგადოებასთან, ცისტური ფიბროზის მქონე პაციენტებთან და მათ მშობლებთან აქტიური თანამშრომლობით, თანმიმდევრულად მუშაობდა პაციენტებისთვის თანამედროვე მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. ამ მიზნით, სამინისტრო ეტაპობრივად აფართოებდა სახელმწიფო პროგრამებს. გასულ წელს პროგრამას დაემატა აუცილებელი საინჰალაციო პრეპარატები, ანტიბიოტიკები, ვიტამინები და სხვა მედიკამენტები, ასევე გაიზარდა სტაციონარული მომსახურების დაფინანსება.**



# სტეფანწმინდა-გველეთის საავტომობილო გზის მონაკვეთზე ორკილომეტრიანი ხიდი აშენდება

**საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე, სტეფანწმინდა-გველეთს შორის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია.**

უწყების ცნობით, არსებული გზა არ აკმაყოფილებდა თანამედროვე სატრანზიტო მაგისტრალის სტანდარტებს და მნიშვნელოვნად იყო დაზიანებული, რის გამოც მისი უბრალო რეაბილიტაცია ვეღარ უზრუნველყოფდა საჭირო უსაფრთხოებასა და გამტარუნარიანობას, რამაც განაპირობა მონაკვეთის სრულად ახლიდან მშენებლობის აუცილებლობა.

საავტომობილო გზების ინფორმაციით, ახალი გზის პროექტი ითვალისწინებს 2-ზოლიანი, 4.5 კმ-იანი გზის, ორი ხიდისა და ორი გვირაბის მშენებლობას, მათ შორის, საქართველოში ყველაზე გრძელი, ორკილომეტრიანი ხიდის აშენებას. სამშენებლო მონაკვეთი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდებარეობს და სტეფანიწმინდადან დარიალის ახალ გვირაბამდე გადის. ამჟამად 460 მეტრი სიგრძის გვირაბი უკვე გაჭრილია და მიმდინარეობს შიდა მოსახვის სამუშაოები, მეორე, 846 მეტრი სიგრძის გვირაბზე კი მიმდინარეობს ბურღვითი სამუშაოები. ორივე გვირაბზე ასევე ეწყობა ხიმინჯები.

სტეფანწმინდა-გველეთის მონაკვეთი გზის ერთ-ერთი ყველაზე რთული და ამავდროულად მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება როგორც მგზავრობის უსაფრთხოება, ისე რეგიონის წვდომა საჭირო სერვისებზე წლის ნებისმიერ სეზონზე.

პროექტის ღირებულება 215.5 მილიონი ლარია, ხოლო მისი დასრულება იგეგმება 2027 წელს. მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გზა ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციისთვის მნიშვნელოანი მაგისტრალია, იგი ń117 ევროპული მარშრუტისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო დერეფნის ნაწილია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების ხელშეწყობაში. გზის მოდერნიზება გრძელდება რამდენიმე მიმართულებით – მათ შორის, ამავე გზაზე მიმდინარეობს ქვეშეთი-კობის 23 კმ-იანი მონაკვეთისა და 9 კმ-იანი გვირაბის მშენებლობაც, სადაც მთავარი, 9 კმ-იანი გვირაბი უკვე გაჭრილია, ხოლო წლის ბოლომდე დასრულდება გუდაურამდე მისასვლელი ახალი გზის მშენებლობა.

**მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების დასრულების შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ექნება, წლის ნებისმიერ დროს უსაფრთხოდ ისარგებლოს გზით და მიიღოს წვდომა საჭირო ეკონომიკურ და სოციალურ სერვისებზე.**

**საავტომობილო გზების დეპარტამენტი.**

**დავით სონღულაშვილი:**

# სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამები, ფერმერებს წარმოების გაფართოების შესაძლებლობას აძლევს

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში მეფრინველეობის მეხორცული ფერმა „მწვანე ქვეყანა“ დაათვალიერა და საწარმოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოისმინა.**

მეფრინველეობის ფერმის წარმადობა 400 000 ფრთა ქათამია, პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე რეალიზდება. ფერმაში 40 ადამიანია დასაქმებული.

**„მეფრინველეობის სექტორის განვითარება მნიშვნელოვანია ადგილობრივი წარმოების ზრდისთვის. წეროვანის მეფრინველეობის ფერმაში, თანამედროვე წარმოებისთვის შესაბამისი პირობებია შექმნილი, ხოლო პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე ხდება. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული მხარდაჭერა კონკრეტულ შედეგებში აისახება და ფერმერებს წარმოების გაფართოების შესაძლებლობას აძლევს“** – აღნიშნა **დავით სონღულაშვილმა.**



ფერმა „მწვანე ქვეყანა“ სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარია. 2014, 2016-2021 წლებში მეფრინველეობის ფერმის მშენებლობისა და აღჭურვის, ასევე სასაკლაოს მოწყობის მიზნით შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა.

აღსანიშნავია, რომ პროექტის „შეღავათიანი აგროკრედიტი“ ფარგლებში, მეფრინველეობის ფერმების მოწყობისა და განვითარების მიზნობრიობით, საქართველოს მასშტაბით, ბანკების მიერ გაცემულია 280 მლნ ლარზე მეტი ღირებულების 2,500-ზე მეტი სესხი, სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება დაახლოებით 67 მლნ ლარია, მათ შორის მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ბანკების მიერ გაცემულია 5,3 მლნ ლარის ღირებულების 61 სესხი, სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 1,5 მლნ ლარს აღემატება.

ფერმაში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად, მინისტრის მოადგილე ლაშა ავალიანი, სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი ზურაბ გოზალიშვილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი გოგი აბუაშვილი და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ელოშვილი იმყოფებოდნენ.

* * *

**შპს „ტიმეო“ ლოკოკინის ხორცისა და ნიჟარის წარმოებას ახორციელებს კომპანიის პროდუქციის სარეალიზაციო ბაზარს იტალია და საფრანგეთი წარმოადგენს. საწარმოში 250-300 ადამიანია დასაქმებული.**

**„მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ფერმერებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ტრადიციული წარმოების გარდა, შექმნან ისეთი პროდუქტები, რომლებიც მოთხოვნადია საერთაშორისო ბაზრებზე. ლოკოკინის ხორცს აქვს საექსპორტო პოტენციალი, ხოლო ნიჟარის გადამუშავება კიდევ უფრო ზრდის წარმოების ეკონომიკურ ღირებულებას. ჩვენი მიზანია, სწორედ ასეთი ახალი შესაძლებლობების გაჩენა რეგიონებში და ქართული აგროსექტორის დივერსიფიცირება; საქართველოში მეტი თანამედროვე და კონკურენტუნარიანი წარმოების შექმნა, რომელსაც ექნება როგორც ადგილობრივ ბაზარზე დამკვიდრების, ისე ექსპორტზე გასვლის შესაძლებლობა“** – აღნიშნა **დავით სონღულაშვილმა.**

**„ბოლო ათწლეულებში აშშ-ის ძლიერება ფინანსების, თავდაცვისა და ტექნოლოგიების სფეროებში მიღწეული წარმატებებით გამოიხატებოდა“** – ნათქვამია აშშ-ის გაზეთ **The Hill-ში** გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით **„რატომ ვერ აღწევს წარმატებას პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გლობალური ძალაუფლებისათვის მიმდინარე თამაშებში?“** **„დონალდ ტრამპმა აღნიშნულ სფეროებს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა და ახლა წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ მისი ყოველი ნაბიჯი ამ მიმართულებებით წამგებიანი იქნება“** – ასეთია პუბლიკაციის ავტორის **ჯონ იოკლსონის** აზრი, რომელიც რიგ კვლევით ცენტრებში მუშაობდა აშშ-ის ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებთან, მათ შორის სახელმწიფო მდივანთან **ჰენრი კისინჯერთან** და თავდაცვის მინისტრთან **ჯეიმს შლეზვიგერთან** ერთად.

**გთავაზობთ სტატიას შემოკლებით:**

**THE HILL**




# რატომ ვერ აღწევს წარმატებას პრეზიდენტი ტრამპი?!

**აშშ-ის ყოფილი თავდაცვის მინისტრი ჯეიმს შლეზვიგერი, რომელთანაც ერთად სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრში მუშაობა მომიწია, 40 წლის წინათ ერთ-ერთ კერძო საუბრის დროს, თავისი მრავალწლიანი დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგად ჩამოყალიბებული აზრი გამოხატა აშშ-ის ძლიერებასთან დაკავშირებით, რომელიც კარგი იქნება დონალდ ტრამპმა გააცნობიეროს და გაითავისოს.**

**„ამერიკელ ლიდერებს, საბჭოთა კავშირის ლიდერებისაგან განსხვავებით, კარგად ესმით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მსოფლიოს სახელმწიფოებთან კავშირი“** – ხაზი გაუსვა **ჯეიმს შლეზვიგერმა.** მისი თქმით, იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი ყოველთვის მიისწრაფვოდა თვითკმარობისაკენ, აშშ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამი გლობალური სისტემის ცენტრში აღმოჩნდა. სარგებელმა დანახარჯებს გადააჭარბა. აშშ შეურიგდა სავაჭრო ბალანსის დეფიციტს, რომ გლობალური ეკონომიკა დოლარის საფუძველზე განვითარებულიყო. ვაშინგტონი მნიშვნელოვან კაპიტალს აბანდებდა, რომ სამხედრო და გეოპოლიტიკური გავლენის ბერკეტები ჰქონოდა და პრიორიტეტულ ყურადღებას უთმობდა ფუნდამენტურ კვლევებს იმ მიზნით, რომ მსოფლიო ლიდერი გამხდარიყო ტექნოლოგიურ სიახლეებში.

აშშ-ის 47-ე პრეზიდენტმა კი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა სხვა ქვეყნებთან კავშირების სამივე სისტემას – ფინანსების, თავდაცვისა და ტექნოლოგიების სფეროებს.

დონალდ ტრამპი დარწმუნებულია, რომ:

**ა) აშშ მრავალმხრივმა სავაჭრო სისტემამ დააზარალა, როცა თეთრმა სახლმა თავის დროზე თავისი ბაზრის კარი „უცხოელ მტაცებლებს“ გაუღო; ბ) ამერიკა მოტყუვდა, როცა საკუთარი ოფლითა და შრომით აშენებდა ალიანსების სისტემას: მისი შედეგებით პარტნიორებმა გოროტად ისარგებლეს და ისე გამოვიდა, რომ ყველა ხარჯი ამერიკელი გადასახადის გადამხდელებს დააწვა; გ) გარდა ამისა, კვლევით ცენტრებში და უნივერსიტეტებში მომრავლდა „გამოფხიზლებულები“ ანუ ვოუკ-იდეოლოგიების მომხრეები და ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებისთვის დახარჯული თანხები მათ ჯიბეებში გადადინდება. შესაბამისად, ამ მიმართულებით ფულის ხარჯვას აზრი არა აქვს.**

დონალდ ტრამპის ცალმხრივი ხედვა აშშ-ის საერთაშორისო კავშირების მიმართ მათ მნიშვნელობას ჩრდილს აყენებს. დოლარის, როგორც ძირითადი მსოფლიო სარეზერვო ვალუტის სტატუსმა აშშ გლობალური ფინანსების ცენტრში დააყენა, რის შედეგადაც სესხების ღირებულება შემცირდა და საბიუჯეტო და სავაჭრო დეფიციტების დასაფინანსებლად ფართო შესაძლებლობები გაჩნდა. აშშ-ის უსაფრთხოების სისტემა ევროპაში, აზიაში და ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური გავლენების წყაროს წარმოადგენს. სამეცნიერო ლიდერობა კი ამაღლებს აშშ-ის ტექნოლოგიურ კონკურენტუნარიანობას, განამტკიცებს ეროვნულ უსაფრთხოებას და იზიდავს ტალანტიურ სპეციალისტებს მთელი მსოფლიოდან.

კავშირების სამივე სისტემას, რომელიც დონალდ ტრამპისეული თეთრი სახლის მოწონებით არ სარგებლობს, ერთი საერთო მახასიათებელი აქვს: ყველა ისინი შეიქმნა 75 წლის წინათ დასავლეთევროპელ და კანადელ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით. სამწუხაროდ, აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტი დაბეჯითებით არღვევს მრავალმხრივ კავშირებს, მსოფლიოსაგან საბაჟო ტარიფების კედლით იმიჯნება, ნაბიჯ-ნაბიჯ შორდება ნატოს და არ ასრულებს აშშ-ის ვალდებულებებს მსოფლიო მეცნიერების სფეროში.

**უარს ამბობს რა საერთაშორისო კავშირების სისტემაზე, დონალდ ტრამპი გლობალურ არენაზე აშშ-ის სახელით კარტს მარტოდმარტო თამაშობს – ისე, როგორც ამას საბჭოთა კავშირი აკეთებდა. დონალდ ტრამპმა ყველაფერი თავისი დიპლომატიის ლოზუნგს „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ დაუქვემდებარა.**

ეკონომიკურ სფეროში პრეზიდენტმა აშშ-ის ყველა სავაჭრო პარტნიორი აიძულა მოლაპარაკების მაგიდასთან დამსხდარიყვნენ და მათთვის არასასიამოვნო ახალი პირობები ეღიარებინათ, ანუ შექმნა დისკრიმინაციული გარემო. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მან ორჯერ გამოიყენა სამხედრო ძალა ირანის წინააღმდეგ ისე, რომ ნატოელ მოკავშირეებს არც მოეთათბირა. ასევე არაორაზროვნად გააჟღერა დონალდ ტრამპმა ტერიტორიული პრეტენზიები ისტორიულ პარტნიორების – კანადისა და დანიის – მიმართ და დაიმუქრა ნატოდან გასვლით, რათა ევროპა სამხედრო ხარჯების გაზრდაზე აეძულებინა.

**აშშ-ის 47-ე პრეზიდენტმა კი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა სხვა ქვეყნებთან კავშირების სამივე სისტემას – ფინანსების, თავდაცვისა და ტექნოლოგიების სფეროებს.**

**რაც შეეხება მეცნიერებას, დონალდ ტრამპმა მინიმუმამდე დაიყვანა მრავალმხრივი თანამშრომლობა და ამ სფეროში პარტნიორებთან მეტოქეობა არჩია. ამ მიზნით მან ბიუჯეტიდან მილიარდობით დოლარი დახარჯა ხელოვნური ინტელექტის გასავითარებლად და იმავდროულად მკვეთრად შეამცირა ინვესტიციები ფუნდამენტურ მეცნიერებაში: პრეზიდენტმა აშშ-ის წამყვანი უნივერსიტეტები „მშიერ ულუფაზე“ დატოვა, რაც უპრეცედენტო ფაქტს წარმოადგენს.**

ცალმხრივი კურსის ნეგატიური შედეგები სულ უფრო მატულობს. სატარიფო ბარიერებმა ხელი შეუწყო ინფლაციას და საერთაშორისო ვაჭრობის სტაბილურობა შეარყია. ნატოსთან მუდმივი შეხლა-შემოხლა დონალდ ტრამპის ადმინისტრაციას ძვირად დაუჯდა – ევროპამ ვაშინგტონს ირანთან კონფლიქტში მხარი არ დაუჭირა. არადა, ამ ომში აშშ-ის ფსონები ძალიან მაღალია. სამეცნიერო ბიუჯეტის შემცირებამ აშშ-ის კვლევით უნივერსიტეტებს გარედან კადრების მიზიდვის შესაძლებლობა წაართვა და პირველად ისტორიაში, ისინი „ტვინების გადინების“ საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა კლიმატოლოგია და ინფექციური დაავადებები.

სერიოზულად დაზიანდა აშშ-ის საერთაშორისო ავტორიტეტი. პიუს კვლევითი ცენტრის ივნისის ანგარიშის თანახმად, 36 ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვით ირკვევა, რომ აშშ-ის პრეზიდენტის საგარეო-პოლიტიკურ კურსს მხარს უჭერს გამოკითხულთა მხოლოდ 23%. უმრავლეს ქვეყნებში რესპონდენტები ჩინეთს უფრო მეტი ნდობით ეკიდებიან, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებს.

მწარე ირონიაა ის, რომ ჩინეთი, რომელიც აშშ-ის მთავარი მეტოქეა 21-ე საუკუნეში, აქტიურად სარგებლობს თავისი საერთაშორისო კავშირებით იმ დროს, როცა დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია მათზე უარს ამბობს. ჩინეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმასვლას თან ახლავს მჭიდრო მონაწილეობა ფუნდამენტურ ინსიტუტებში, დაწყებული გაეროდან, დამთავრებული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციით და პარიზის კლიმატური შეთანხმებით. პეკინი უხვად აფინანსებს ეკონომიკური განვითარების საკუთარ ინსტიტუტებს – როგორც გლობალურს, ასევე რეგიონულს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩინეთი საერთაშორისო კავშირების მნიშვნელობას ჯეროვან ყურადღებას აქცევს.

**და ამ დროს აშშ-ის პრეზიდენტი უშედეგოდ ეძებს გამოსავალს ირანთან ომის გამო შექმნილი ჩიხიდან. მისმა კურსმა „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ აშშ-ის დღევანდელი იზოლაცია უფრო ძლიერია, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის წინ იყო!**



თარგმნა
**სიმონ კილაძემ.**

**2008 წლის აგვისტოს ომის გარშემო პოლიტიკური დებატები საქართველოში კვლავ გამწვავდა. პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, რომელსაც ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო საგარეო უწყების გამოხმაურება მოჰყვა, შიდაპოლიტიკურ ველზე დაპირისპირების ახალი ტალღა წარმოშვა.**



# 2008 წლის აგვისტოს ომი: პოლიტიკური ბრალდებები და რეაქცია ცხინვალიდან



საზოგადოებრივი განხილვების მიზეზი გახდა პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძის** განცხადება 2008 წლის მოვლენებთან დაკავშირებით. **კობახიძის** თქმით:

**„რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო 8 აგვისტოს. 8 აგვისტოს შემოვიდა რუსეთის ჯარი, როდესაც შესაბამისი განცხადება გააკეთა რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა. 7 აგვისტოს რაც მოხდა, ეს იყო ის, რომ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა დაბომბა ცხინვალი“** – განაცხადა მან.

აღნიშნულმა პოზიციამ, სადაც ყურადღება გამახვილებულია მაშინდელი ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე და საომარი მოქმედებების ქრონოლოგიის კონკრეტულ ინტერპრეტაციაზე, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მკვეთრი რეაქციები გამოიწვია.

პრემიერ-მინისტრის განცხადებას მალევე მოჰყვა ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოხმაურება. დე ფაქტო უწყებამ აღნიშნა, რომ თბილისის მხრიდან ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დადანაშაულება „სამხედრო აგრესიაში“ მათთვის ცნობილი ფაქტის აღიარებაა, თუმცა იქვე დასძინა, რომ პასუხისმგებლობა მთლიანად საქართველოს სახელმწიფოს უნდა დაეკისროს.

ცხინვალის საინფორმაციო წყაროების ცნობით, დე ფაქტო რეჟიმი აცხადებს, რომ სააკაშვილი მოქმედებდა საქართველოს სახელით და შესაბამისად, პოლიტიკის სუბიექტი სწორედ ქვეყანაა. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაცია რჩება რეგიონის „უსაფრთხოების საიმედო გარანტად“ და თბილისს მოუწოდებენ, დაიკავოს „უფრო კონსტრუქციული პოზიცია“ საერთაშორისო დისკუსიების ფორმატში.

* * *

**თბილისში პრემიერის განცხადებასა და ცხინვალიდან გაკეთებულ გამოხმაურებას ოპოზიციური პარტიების მხრიდან მწვავე შეფასებები მოჰყვა.**

ოპოზიციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ომის დაწყების თარიღზე ასეთი აქცენტები და ქართული მხარის პასუხისმგებლობაზე საუბარი აზიანებს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.



„ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ განაცხადეს, რომ მსგავსი რიტორიკა ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოა და რუსული პროპაგანდისტული ნარატივის ნაწილს წარმოადგენს. პარტია „გახარია საქართველოსთვის“ დეპუტატის **ვიკა ფილფანის** შეფასებით, აღნიშნული განცხადება ოკუპანტმა მხარემ საკუთარი პოზიციების გასამყარებლად გამოიყენა, რის გამოც სამართლებრივი შეფასებებია საჭირო.



„კოალიცია ცვლილებისთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **ნიკა გვარამიამ** აღნიშნა, რომ ასეთი პოზიცია სამშობლოს ინტერესების დაზიანებაა, როგორც პოლიტიკურ, ისე სამართლებრივ განზომილებაში.

ქართულ მედიასა და პოლიტიკურ მიმომხილველებს შორის აზრები ორად იყოფა. მმართველი გუნდის მხარდამჭერები და ნაწილი ანალიტიკოსებისა აღნიშნავენ, რომ 2008 წლის მოვლენებში სააკაშვილის ხელისუფლების შეცდომებსა და პასუხისმგებლობაზე საუბარი აუცილებელია ისტორიული სიმართლის დადგენისა და მომავალში მსგავსი ტრაგედიების თავიდან აცილებისთვის. მეორე მხრივ, კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ საერთაშორისო სასამართლოების (ICJ, ECHR) გადაწყვეტილებებით, რუსეთის ფედერაცია აღიარებულია საოკუპაციო ძალად და აგრესორად, ხოლო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან შიდაპოლიტიკური კინკლაობისთვის ომის თემის გამოყენება ამ საერთაშორისო სამართლებრივ მიღწევებს საფრთხეს უქმნის.

## რას ნიშნავს შექმნილი ვითარება?

**არსებული ვითარება აჩვენებს, რომ 16 წლის შემდეგაც კი, 2008 წლის აგვისტოს ომის ისტორიული და სამართლებრივი შეფასებები საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალურ გამოწვევად რჩება.**

პოლიტოლოგი **ვაჟა ბერიძე** ამბობს, რომ სააკაშვილის რეჟიმმა 2008 წელს დაუშვა უმძიმესი, დანაშაულებრივი შეცდომა, როდესაც წამოეგო რუსულ პროვოკაციას და დაიწყო სამხედრო მოქმედებები.



**„პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის განცხადება სწორედ ამ ისტორიული რეალობის ასახვაა – რუსეთი არის აგრესორი და ოკუპანტი, თუმცა შიდა პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობა იმ უგუნურ ნაბიჯებზე, რამაც რუსეთს ოკუპაციის განხორციელების საბაბი მისცა, სწორედ იმჟამინდელ ხელისუფლებას ეკისრება. რაც შეეხება ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის განცხადებებს, ეს არის ჩვეულებრივი საინფორმაციო მანიპულაცია: ისინი ცდილობენ, სააკაშვილის დანაშაული მთლიანად საქართველოს სახელმწიფოს გადააბრალონ, რაც აბსოლუტურად მიუღებელი და მცდარია“** – განაცხადა მან.



ანალიტიკოსი **პეტრე მამრაძე** კი მიიჩნევს, რომ მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამშვიდობოების მიმართულებით ცეცხლის გახსნა 7 აგვისტოს იყო სააკაშვილის უმძიმესი ავანტიურა.

**„რამაც გზა გაუხსნა რუსულ ინტერვენციას. პრემიერის განცხადება ეფუძნება ფაქტობრივ გარემოებებსა და საერთაშორისო დასკვნებს, მათ შორის ტალიავინის კომისიის დასკვნას. საუბარია კონკრეტული ხელისუფლების პოლიტიკურ შეცდომებსა და დანაშაულებრივ გადაწყვეტილებებზე და არა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე“** – განაცხადა მან.

ლიკა ბერიკაშვილი

# ციხეში წამოკოტრიალებული მიჯას ნაბოდვარი...



**ოპოზიცია, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არ აქტიურობს, იმიტომ, რომ მათზე საქმეა აღძრული და ციხეში მოხვედრის ეშინიათ, ან გაყიდულია, ან ფიქრობს, რომ საქართველოს თუ დაიცავს, ამით ჩემს წისქვილზე დაასხამს წყალს, ან უბრალოდ პლაჟზეა წამოკოტრიალებული, ან უცხოეთში ისვენებს და ვერ მოიცალა რამის თქმისთვის,** – ამის შესახებ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** სოციალურ ქსელში წერს.

მისი თქმით, **„ხალხის ნაწილს მართლა სჯერა რუსული პროპაგანდის, ნაწილი, უბრალოდ, პირდაპირ მოღალატეა და მაინც უმეტესი ნაწილი აპათიაშია ჩავარდნილი და ელოდება უკრაინის ომის შედეგებს“.**

**„ის, რომ ამ დღეებში წარმოუდგენლად მოღალატეობრივი განცხადებები გავატარეთ, რაც პრაქტიკულად მტრისთვის მასობრივად დანებებას ნიშნავს, არის განპირობებული შემდეგი ფაქტორებით – ოპოზიცია, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არ აქტიურობს, იმიტომ რომ მათზე საქმეა აღძრული და ციხეში მოხვედრის ეშინიათ ან გაყიდულია, ან ფიქრობს რომ თუ საქართველოს დაიცავს, ამით ჩემს წისქვილზე დაასხამს წყალს, ან უბრალოდ პლაჟზეა წამოკოტრიალებული, ან უცხოეთში ისვენებს და ვერ მოიცალა რამის თქმისთვის.**

**ხალხის ნაწილს მართლა სჯერა რუსული პროპაგანდის, ნაწილი უბრალოდ პირდაპირ მოღალატეა და მაინც უმეტესი ნაწილი აპათიაშია ჩავარდნილი და ელოდება უკრაინის ომის შედეგებს, გეგონება, უკრაინის გამარჯვებით ეგრევე ლანგარზე მოგვერთმევა გამარჯვება და ივანიშვილი თავისით აორთქლდება. ასევე, ხალხი უყურებს ოპოზიციის პასიურობას და ამიტომ დემოტივირებულია. ამ მტერზე ჩაბარებას ექნება კონკრეტული შედეგი, ივანიშვილი რუსების დავალებით ამზადებს საქართველოს ტერიტორიების ჩაბარების ოფიციალურ აღიარებას და ამ აგვისტოს სიჩუმემ ის დაარწმუნა, რომ ხმის ამომღები არც არავინ იქნება (რისიც აქამდე ეშინოდა) და საკუთარი ტყავის გადასარჩენად უახლოეს ხანში აუცილებლად აღიარებს აფხაზეთს და ცხინვალს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად (ჯერ თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულების დადებით და შემდეგ უკვე სრული აღიარებით).**

**საქართველოს ყოფნა-არყოფნის წამმზომი ჩართულია და ხალხის და პოლიტიკოსების სიჩუმის ფონზე სწრაფად მიდის ფატალური დასასრულისკენ და მართლა ისევ უკრაინის გამარჯვება, რომელიც ახლოა, თუ გვიშველის. მანამდე ჩვენი წინააღმდეგობის გამოცოცხლებით როგორმე უნდა მოვიგოთ ძალიან ძვირფასი დრო. კიდევ, კარგი ამბავი ისაა, რომ, ქართველების თითქმის საყოველთაო ხელჩაქნევის ფონზე, უკრაინელების 80%-ს, ბოლო გამოკითხვებით, სჯერა გამარჯვების და მზად არიან, ითმინონ იმდენი, რამდენიც საჭიროა“,** – წერს სააკაშვილი.

ისევ დაპირისპირება...

საქართველოს რესპუბლიკა



# აშშ-ის სანქციები ქართულ კრიპტოკომპანიას

## საქართველოს ეროვნული ბანკის განმარტება

**აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტმა ირანის „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ (IRGC) დაფინანსების ბრალდებით საქართველოში დაფუძნებულ კრიპტოკომპანია „შელბითს“ სანქციები დაუწესა. ვაშინგტონის ოფიციალური ინფორმაციით, კომპანია ირანულ ტერორისტულ ქსელებთან უკანონო ფინანსურ ტრანზაქციებში მონაწილეობდა, რამაც ადგილობრივ პოლიტიკურ ველზე მწვავე დაპირისპირება და რეპუტაციულ ზიანზე დისკუსია გამოიწვია.**

აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის განცხადების თანახმად, სანქციების ახალი პაკეტი მიზნად ისახავს იმ კრიპტოქსელების მხილებას, რომლებიც ირანულ რეჟიმს შეზღუდვების გვერდის ავლითა და უკანონო ფინანსების მოზიდვაში ეხმარებიან.

სანქცირებულ პირთა შორის არის ირანში დაბადებული სიავაშ კაივანპური (რომელიც ფლობს დომინიკისა და ავღანეთის მოქალაქეობებს და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ცხოვრობს). უწყების ცნობით, კაივანპური მართავს კომპანიების მრავალეროვან ქსელს, რომელშიც ქართული სუბიექტიც შედიოდა.

**„კაივანპური, საქართველოს რესპუბლიკაში დაფუძნებული კომპანია – შპს „შელბითის“ მეშვეობით, „შელბით ექსჩეინჯს“ მართავს. „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ კუთვნილმა ციფრული ვალუტის მისამართებმა „შელბით ექსჩეინჯის“ ციფრული ვალუტის მისამართზე 1 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ციფრული აქტივები გააგზავნეს. ასევე, „შელბით ექსჩეინჯის“ მისამართებიდან „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ ციფრული ვალუტის მისამართებზე 2 მილიონ დოლარზე მეტი თანხა გადაირიცხა“** – აღნიშნულია აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის ოფიციალურ განცხადებაში.

## კომპანიას რეგისტრაცია გაუქმებული აქვს!

**შეერთებული შტატების გადაწყვეტილებას გამოეხმაურა საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ). უწყებაში განმარტავენ, რომ დასახელებული კომპანია მათ მიერ რეგულირებულ სუბიექტს არ წარმოადგენს და მას სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციაც გაუქმებული აქვს.**

სებ-ში ხაზს უსვამენ, რომ ქვეყანაში ვირტუალური აქტივის პროვაიდერების საქმიანობა მკაცრად კონტროლდება.

**„კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელი ჩარჩო აწესებს ბაზარზე შესვლისა და ოპერირების მკაცრ მოთხოვნებს და წარმოადგენს მნიშვნელოვან ფილტრს უკანონო საქმიანობასთან დაკავშირებული სუბიექტებისთვის. ნებისმიერი პირი, რომელიც ამ ტიპის საქმიანობას ახორციელებს, ვალდებულია, გაიაროს სავალდებულო რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში“** – აცხადებენ სებ-ში.

## ოპოზიციის გადამლაშებული კრიტიკა

**აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის გადაწყვეტილებას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა ამერიკელი კონგრესმენი ჯო უილსონიც, რომელმაც საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა მკაცრად გააკრიტიკა.**



**„როგორც ვეჭვობდით, ირანელი ტერორისტები ქართულ კომპანიებს სანქციებისგან თავის ასარიდებლად, ფულის გასათეთრებლად და ამერიკული ინტერესებისთვის ძირის გამოსათხრელად იყენებენ. „ქართული ოცნება“ ხელს უწყობს ირანული ტერორისტული ქსელების უკანონო გაფართოებას, თუმცა მაინც ამერიკას უყენებს მოთხოვნებს?“** – დაწერა **ჯო უილსონმა.**

ქართველი ოპოზიციონერები აცხადებენ, რომ ეს შემთხვევა ვაშინგტონთან ურთიერთობების გადატვირთვის მცდელობის კრახია და ქვეყნის უსაფრთხოებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.



ოპოზიციონერ **ხათია დეკანოიძის** თქმით, ქვეყანაში ირანული ფიქტიური კომპანიების სიმრავლე საგანგაშო ტენდენციაზე მიუთითებს:

**„ძალიან მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რამხელა საფრთხეს შეიცავს ის, რომ ირანის მხრიდან საფინანსო ინსტიტუტები, რაიმე სახით, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების ფინანსურ სტაბილურობას ამყარებენ. კარგად უნდა გავიაზროთ, რომ ასეთ ქვეყნებთან და რეჟიმებთან თანამშრომლობა, მათი ფინანსური ინტერესების გატარება და ამ გზით ეკონომიკური სტაბილურობის შექმნა ძალიან სერიოზული პრობლემაა“.**

პოლიტიკოსი **სალომე სამადაშვილი** კი ყურადღებას მოსალოდნელ ფინანსურ რისკებზე ამახვილებს და აღნიშნავს, რომ ხელისუფლების უმოქმედობა მთლიანად სექტორს აყენებს დარტყმას:



**„ჩვენ გვაქვს სისტემატური გამოწვევა და ცხადია, რომ სანქციების შემოღება ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყნის ხელისუფლება არ რეაგირებს ადეკვატურად. ბიძინა ივანიშვილმა საქართველო, რუსეთის და ირანის სისხლიანი რეჟიმების ფულის სამრეცხაოდ აქცია. თუ არ აღმოიფხვრა სანქციების თავის არიდება, დასავლეთს შეუძლია ყველა კრიპტოსაწარმოს დასანქცირება, რომელიც ოპერირებს საქართველოში და მომავალში არ არის გამორიცხული, ფინანსური სექტორის დასანქცირებაც დადგეს დღის წესრიგში“** – განაცხადა მან.

ქვეყნის რეპუტაციულ და ეროვნული უსაფრთხოების რისკებზე საუბრობს **თეონა აქუბარდიაც:** **„ეს არის მნიშვნელოვანი რეპუტაციული ზიანი საქართველოსთვის, რომელიც მიიჩნეოდა დასავლური სამყაროს ნაწილად და სტრატეგიულ პარტნიორად. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება ადეკვატური რეაგირება ასეთ საქმეებზე, ეს შეიძლება ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევად იქცეს“.**



## დასანქცირება დიპლომატიურ ურთიერთობებზე არ აისახება

**ოპოზიციის მწვავე შეფასებების საპირისპიროდ, ანალიტიკოსები პროცესების გადაჭარბებულ პოლიტიზებაზე მიუთითებენ. მათი აზრით, ცალკეული კერძო სუბიექტის გარშემო განვითარებული მოვლენები მთლიან დიპლომატიურ ურთიერთობებზე პირდაპირ არ აისახება.**

პოლიტოლოგ **იგორ კვესელავას** განცხადებით, აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ერთ კონკრეტულ, თანაც რეგისტრაციაგაუქმებულ კერძო კომპანიას ეხება, ვერ გახდება საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შეფერხების მიზეზი.



**„დიპლომატიურ ურთიერთობებსა და სახელმწიფოთა შორის სტრატეგიულ დიალოგს თავისი მასშტაბი და ლოგიკა აქვს. ერთი კერძო სუბიექტის ან ცალკეული ბიზნესკომპანიის დასანქცირება, რომელსაც ეროვნული ბანკის ცნობით, რეგისტრაციაც კი გაუქმებული აქვს, ვერ იმოქმედებს ორ ქვეყანას შორის არსებულ ფუნდამენტურ პოლიტიკურ დღის წესრიგზე.**

**როდესაც საუბარია თბილისსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობების გადატვირთვაზე, ეს პროცესი ბევრად უფრო გლობალურ, გეოპოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებს ეფუძნება. აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტი რეგულარულად ახორციელებს მსგავს ღონისძიებებს მთელ მსოფლიოში, კერძო ფინანსური ნაკადების მონიტორინგისა და სანქციების გვერდის ავლის აღკვეთის მიზნით“** – ამბობს ანალიტიკოსი.

შესაბამისად, მისი აზრით, ამ კონკრეტული შემთხვევის დაკავშირება მთლიან დიპლომატიურ პროცესთან და იმის მტკიცება, თითქოს, მან გადატვირთვის მცდელობას წერტილი დაუსვა, პოლიტიკურად გადაჭარბებულია.

**„თუ სახელმწიფო ინსტიტუტები, მათ შორის ეროვნული ბანკი, მკაფიოდ აჩვენებენ, რომ რეგულაციები მუშაობს და ქვეყნის ფინანსური სისტემა დაცულია, ეს ფაქტი ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების დინამიკაზე უარყოფითად ვერ აისახება“** – აცხადებს **იგორ კვესელავა.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

## ფრენების ისტორიული რეკორდი საქართველოს აეროპორტებში



**9 აგვისტოს საქართველოს აეროპორტებში ერთ დღეში 306 ჩამოფრენა და გაფრენა დაფიქსირდა, რაც ახალი ისტორიული მაქსიმუმია,** – ამის შესახებ ინფორმაცია ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციამ EUROCONTROL-მა გავრცელა.

ახალი მაჩვენებელი 4.8 პროცენტით აღემატება წინა რეკორდს, რომელიც ამავე წლის 26 ივლისს დაფიქსირდა და 292 ჩამოფრენა და გაფრენა შეადგინა. EUROCONTROL-ის მონაცემებით, გასულ კვირას ევროპის საჰაერო ქსელის მასშტაბით ექვსი ახალი რეკორდი დაფიქსირდა, მათ შორის ერთ-ერთი „საქართველოს აეროპორტებში.

საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო მოძრაობის მზარდი ნაკადის უსაფრთხო, მოწესრიგებულ და ეფექტიან მართვას შპს „საქაერონავიგაციის“ მეთვალყურეობის სამსახური უზრუნველყოფს. სამსახური საჰაერო მოძრაობის მართვას 24 საათის განმავლობაში, წლის ნებისმიერ დღეს ახორციელებს.

# იბერია ევროპაა!



**ქართული ფეხბურთის ყველა ქომაგს გილოცავთ იბერია – 1999-ის ევროპულ გაბრწყინებას უკრაინელი თავკაცის ანდრეი დემჩენკოს მწვრთნელობით, რომელმაც 22 წლის შემდეგ გაიმეორა გია გეგუჩაძის მიღწევა და შემოდგომიდან მოყოლებული, შეგირდებს, თბილისის დინამოს მსგავსად, კონტინენტურ საკლუბო ტურნირზე ათამაშებს,თანაც ჯგუფურ რაუნდში.**

განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ ყოფილი საბურთალოს დამფუძნებლისა და ამჟამად როგორც მისი სამართალმემკვიდრის, ისე სპორტისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტის ბატონ **ტარიელ ხეჩიკაშვილისა** და უეფას ხელმძღვანელობის მიმართ, რომლის რეფორმებმაც შესაძლებელი გახადა სანაკრებო წარმატებებისთვის ფეხი უკვე საკლუბო სარბიელზეც აგვეწყო, აგრეთვე მთავრობისა და ფეხბურთის ფედერაციის მიმართ.

მოკლედ, ცოტაც მოვითმინოთ და დავტკბეთ ასე მონატრებული 8 საერთაშორისო შეხვედრით.

**იბერია – ლარნე 2:1**
**(დამატებით დროში)**
**პირველი მატჩი 0:0**

**გოლები**: ბედოშვილი, სიხარულაშვილი (ორივე – დადიანის ასისტით); სიმპსონი.

როგორც გვჩვევია, მეტოქის დამცირებით დავკავდით – ჩვენ ხომ ზომიერად არც დადებითი თვისებების შეფასება გვიყვარს და არც უარყოფითის. ალბათ, ყურადღება წინა ეტაპზე, სტუმართა კრახმაც მოგვიდუნა ბელგრადის ცრვენა ზვეზდასთან – 0:9(!) ორი უთანასწორო ბრძოლის ჯამში, მაგრამ რატომღაც დაგვავიწყდა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის ჩემპიონს ზურგს კონფერენს ლიგის ჯგუფურ ტურნირში ასპარეზობის ძვირფასი გამოცდილება უმაგრებდა.

დაუმატეთ ყოველივეს წინა კვირაში ბრიტანეთისკენ განხორციელებული საინფარქტო ავიამარათონი და მიხვდებით, რატომაც ვიყავით მოკლებულნი მოჭარბებულ ოპტიმიზმს. საბედნიეროდ, წინასადიდგორო ზღაპრის ბოლო კეთილი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ბიჭებს აშკარად ეტყობოდათ, მძიმე გასვლითი შეხვედრის შემდეგ ძალები სრულად რომ არ ჰქონდათ აღდგენილი. ეს, დაგვეთანხმებით, კიდევ უფრო მეტ ფასს სძენს მათ გამარჯვებას.

**და ბოლოს:** ერთ თვეში ჩვენი ეროვნული ნაკრები ერთა ლიგის მორიგ შესარჩევ ციკლს ჩრდილოეთ ირლანდიასთან საშინაო მატჩით ცარიელი ტრიბუნების წინაშე დაიწყებს. ჩავთვალოთ, რომ ამავე ქვეყნის წამყვან გუნდთან გენერალური რეპეტიცია ღირსეულად ჩავატარეთ.




# სატახტოდან – რჩეულებში

**ამასწინანდელი სტიქიის მიუხედავად, თელავმა ღირსეულად უმასპინძლა 18-წლამდელ ხელბურთელთა ევროპის ვაჟთა ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონს 6 გუნდის მონაწილეობით, ეროვნული ფედერაციის, მეფე ერეკლეს ქალაქის მუნიციპალიტეტისა და კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის ხელმძღვანელობის ყურადღება კი ჩვენმა ნაკრებმა „ა“ ჯგუფში აღზევებით დააგვირგვინა. ვულოცავთ!**

**ჯვაროსანთა შემადგენლობა:** ტვილდიანი, კენჭაძე, დიასამიძე, მამულაშვილი, კაპანაძე, ხარებაშვილი, გურგენიძე, შუბაშიშვილი, ნარიმანიძე, თორია, ბიბლაია, მაზანაშვილი, ბუიღლიშვილი, ბოჟაძე, ბურჯალიანი, ახვლედიანი (მთავარი მწვრთნელი – **შოთა თევზაძე,** ასისტენტები – გიორგი ქობელაშვილი, პაბლო კამპოს სუნენი, ხავიერ სალვადორ ხაუმა, ალექსანდრე ჯღამაძე).

დავძენთ, რომ ბიჭებს 39(!) გოლით **მამულაშვილმა** ულიდერა.

**გზა ელიტისკენ:** დიდ ბრიტანეთთან – 31:24, ბულგარეთთან – 35:32, კვიპროსთან – 29:19, კოსოვოსთან – 35:30, ბელგიასთან – 30:33 და ფინალში ისევ ბულგარეთთან – 28:35 (ბურთების საერთო შეფარდება – 188:173).

ვფიქრობთ, სავსებით ლოგიკურია, რომ აღნიშნული წარმატება ტურნირის დღეებში გარდაცვლილი ადამიანი – ხელბურთის **მერაბ მეტრეველის** ხსოვნას მიეძღვნა.

# ქართული ამბები

## თავისუფალი ჭიდაობა

**ბუქარესტი (რუმინეთი).** საერთაშორისო ტურნირი. საქართველოს ნაკრები – 9 მედალი. **ოქრო** – გოგა ძიგუა, გიორგი შონია, საბა კობახიძე, თორნიკე სამხარაძე. **ვერცხლი** – გოდერძი ძებისაშვილი, გიორგი გოგრიჭიანი, თეიმურაზ ქოჩქიანი. **ბრინჯაო** – რეზო მარსაგიშვილი, თორნიკე თულაშვილი.

## კალათბურთი

**ჯვაროსანთა** სახელოვანი კაპიტნის **ზაზა ფაჩულიას** ვაჟი **საბა ფაჩულია** კარიერას ბარსელონას ახალგაზრდულ გუნდში გააგრძელებს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მსუბუქი ფორვარდი (სიმაღლე – 198 სმ) 2009 წლის 15 სექტემბერს დაიბადა.




## წყალში ხტომა



**პარიზი (საფრანგეთი).** ევრო – 2026 29 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა **ირაკლი ბართაიამ** მე-14 კარიერულ ფორუმზე 6 ფინალში იმსაჯა.

## შერეული ორთაბრძოლები

**გაირკვა,** რომ 28 წლის **ამირან გოგოლაძე** ოქტაგონ MMA-ის ქვესაშუალო წონის ტიტულისთვის ოქტაგონ 96-ის ტურნირის მთავარ ბრძოლაში გერმანელ **ფელიქს კლინკჰამერს** ეჩხუბება.

ჩვენებურის ბალანსი ევროპულ ორგანიზაციაში 18 გამარჯვება და 3 მარცხია, მათ შორის ქართველ „სნაიპერს“ ზედიზედ 4 მოგება აქვს, მისი 31 წლის მეტოქე კი ჯერაც დაუმარცხებელია – 11 წარმატება, თანაც ფრანგული ორგანიზაციის ქვესაშუალო წონის ყოფილი ჩემპიონია.

## კარატე

**თურქეთი**. ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. **ოქრო** – ჭაბუკა მახარაძე. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს 4-გზისა და ევროპის 5-გზის ჩემპიონმა აღნიშნული ასპარეზობა კარიერაში მე-3 მოიგო.

# რაგბი მისი თამაშია

**ნიკა ამაშუკელი განაგრძობს სარაგბო მწვერვალების დალაშქვრას. ამჯერად ახალგაზრდა ქართველი მსაჯი სამხრეთ აფრიკა – ახალი ზელანდიის საგრანდო ტურზეა მიწვეული, რომელიც 30-წლიანი(!) შესვენების შემდეგ ეწყობა და 8 მატჩს მოიცავს – 4 ტესტს ბოკესთან და ამდენივე თამაშს – პროვინციულ ფრენჩაიზებთან.**




ჩვენი თანამემამულე სერიაში 15 აგვისტოს ოლ ბლექსისა და ბულსის შეხვედრაში მოედნის მსაჯობით ჩაებმება, ხოლო შემდეგი გამოცდების მისეული გრაფიკი ასეთია:

**22 აგვისტო:** სამხრეთ აფრიკა – ახალი ზელანდია – კიდის მსაჯი.

**25 აგვისტო:** ლაიონსი – ახალი ზელანდია – კიდის მსაჯი.

**29 აგვისტო:** ბოკე – ოლ ბლექსი – მთავარი მსაჯი.

**5 სექტემბერი:** ისევ ბობოლათა ჯახი – კიდის მსაჯი.

**ნიკა ამაშუკელი:** „ემ ბოლო დროს ზაფხულისა თუ შემოდგომის სანაკრებო ფანჯარაში მსოფლიო რაგბი ყველაზე მნიშვნელოვანი თამაშების მომსახურებას მანდობს და გამონაკლისი არც წლევანდელი აგვისტო-სექტემბერი აღმოჩნდა. ეს კიდევ უფრო განსხვავებული და განსაკუთრებული შემთხვევაა, რადგან თანამედროვე რაგბიში პირველად გვაქვს ახალზელანდიელთა სამხრეთაფრიკული ტურნე. იგი ბრიტანელი და ირლანდიელი ლომების ტურნეს მსგავსი მოვლენაა და მას უდიდესი მეტოქეობა ეწოდება, რადგან ორივე ნაკრები ბუმბერაზი გუნდია, რომლებიც ერთმანეთს მსოფლიოში პირველობისთვის ექიშპებიან.

დიდი პატივია, ჩვენი სამშობლო ასეთ სარაგბო ზეიმში რომ წარმოჩინდება, ამიტომ უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ ქართველი გულშემატკივრისა და ქართული რაგბის წინაშე. ბუნებრივია, ვეცდები საუკეთესოდ გავართვა თავი დაკისრებულ მისიას, თუმცა, რა თქმა უნდა, მსაჯისადმი უკმაყოფილება ყოველთვის იქნება, მაგრამ ესეც ჩვენი პროფესიის ნაწილია“.

* * *

**ამასობაში** სამხრეთაფრიკული ტურნეს საზაფხულო სერიის მეორე მატჩი გამართა **გიორგი ნემსაძის** გაწვრთნილმა საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა და მასპინძელ თანატოლთა მეორე გუნდთან 0:20 დამარცხდა.

**შეგახსენებთ, რომ უმცროსმა ბორჯღალოსნებმა სასტარტო ტესტი ინგლისთან 33:66 დათმეს. ასე რომ, თუ ამჯერად დაცვაში თამაში გამოვასწორეთ, შეტევაში უსუსურნი ვიყავით.**

# გვჭირდება მწვრთნელი?

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ლოზანას გრანდ-სლემზე 13 ძიუდოისტით წარდგება. აღნიშნული ტურნირი ისტორიაში პირველად ჩატარდება და მასში მონაწილეობას 73 ქვეყნის 530 ძიუდოისტი მიიღებს. ტურნირი 28-30 აგვისტოს გაიმართება.**

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა შემდეგნაირია:

**ვაჟთა ნაკრები** – თორნიკე გიგაური -66 კგ, ვაჟა მარგველაშვილი -66 კგ, მიხეილ ბახბახაშვილი -73 კგ, გიორგი ლოლაძე -73 კგ, ზაურ დვალიშვილი -81 კგ, ლუკა ჯავახიშვილი -90 კგ, აკაკი ჯაფარიძე -90 კგ, ილია სულამანიძე -100 კგ, გურამ თუშიშვილი +100 კგ.

**გოგონათა ნაკრები** – ეთერ ლიპარტელიანი -57 კგ, ნინო ლოლაძე -57 კგ, ნინო გულბანი -70 კგ, სოფიო სომხიშვილი +78 კგ.

ცნობისთვის: ლაშა გუჯეჯიანის უზბეკეთში წასვლის შემდეგ საქართველოს ნაკრები უმწვრთნელოდაა დარჩენილი.



საქართველოს რესპუბლიკა



# კრიტიკული შეუსაბამობა „ანაკლიაში“

**სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ზუგდიდში მდებარე საწარმო შპს „ანაკლიაში“ კრიტიკული შეუსაბამობები გამოავლინა.**

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, კანონმდებლობის შესაბამისად, ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა და საწარმოო პროცესი შეუჩერდა.

**„სურსათის ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის დეპარტამენტის ინსპექტორებმა სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში ზუგდიდში სასმელი წყლისა და ლიმონათის საწარმო შპს „ანაკლია“ (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრიბოედოვის ქუჩა N77) არაგეგმურად შეამოწმეს. ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობები, მათ შორის, ჰიგიენური ნორმების უხეში დარღვევა, ინფრასტრუქტურული გაუმართაობა. ამავდროულად, დაფიქსირდა ეტიკეტირების წესის დარღვევისა და ვადაგასული პროდუქციის რეალიზაციის ფაქტები. სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო კონტროლს მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის დაცვის მიზნით მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს“.**

# ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი პირი დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი, უცხო ქვეყნის მოქალაქე დააკავეს.**

დაკავებული, თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე, თურქეთში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის, საერთაშორისო დონეზე იძებნებოდა. სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ძებნილი პირი ბათუმში დააკავეს.

# იმერეთის პოლიციამ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 4 პირი დააკავა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, პროკურატურასთან ერთად, კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 4 პირი დააკავეს, ხოლო 2 პირს ბრალი დაუსწრებლად წარედგინება.**

სამართალდამცველების მიერ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირები, იმერეთის რეგიონში აქტიურად მონაწილეობდნენ „ქურდულ გარჩევებში“. გამოძიებით ასევე, დგინდება, რომ ბრალდებულები შეკრებებზე ე.წ. ქურდული ტრადიციების შესაბამისად იღებდნენ გადაწყვეტილებებს, ხოლო დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან კონკრეტული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მათ ფიზიკური ანგარიშსწორებით, ჯანმრთელობის დაზიანებითა და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# იმერეთში 329 შეკვრა „მეთადონი“ ამოიღეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ რეალიზაციის ხელშეწყობის ბრალდებით, სხვადასხვა დროს, უცხო ქვეყნის 3 მოქალაქე დააკავეს.**

გამოძიებით დგინდება, რომ ბრალდებულები ნარკოტიკული საშუალებების გასაღების დანაშაულებრივ სქემებში იყვნენ ჩართული, ისინი შემდგომში გასაღების მიზნით, ნარკოტიკულ საშუალებას სხვადასხვა ადგილზე ათავსებდნენ, ფოტოებს უღებდნენ და ნარკოტიკული საშუალების შეძენით დაინტერესებულ პირებს უგზავნიდნენ. სამართალდამცველებმა, ქუთაისსა და წყალტუბოში, ბრალდებულების პირადი ჩხრეკის შედეგად, ასევე მათ მიერ მითითებული ადგილებიდან, ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 329 შეკვრა „მეთადონი“. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დაკავებულების დროებითი საცხოვრებლებიდან, ასევე, ამოღებულია ნარკოტიკული საშუალებების დაფასოებისთვის საჭირო მასალები. გამოძიება 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# საგამოძიებო სამსახურმა ვირტუალური აქტივის მომსახურების არარეგისტრირებული პროვაიდერის მენეჯერი დააკავა

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ვირტუალური აქტივის მომსახურების არარეგისტრირებული პროვაიდერის მენეჯერი დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო რეგისტრაციის გარეშე, ახორციელებდა ათეულობით მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ვირტუალური აქტივების ტრანზაქციებს, მათ შორის, ვირტუალური აქტივისა და ნაღდი ფულის კონვერტაციას.



აღნიშნული საქმიანობით ბრალდებული ხელს უწყობდა ქვეყანაში არაკონტროლირებადი საერთაშორისო ტრანზაქციების განხორციელებას. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია კომპიუტერული ტექნიკა, ათეულობით საბანკო ბარათი, სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია, ფულადი თანხა – 83 903 აშშ დოლარი, 300 ევრო და 79 600 აშშ დოლარის ღირებულების კრიპტოვალუტა. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით ითვალისწინებს.

# სამეგრელოში ბრაკონიერობის ფაქტი გამოავლინეს

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა სამართალდარღვევა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გამოავლინეს.**

უწყების ცნობით, სოფელ ახალ აბასთუმანში არსებულ ტბორზე მოქალაქემ ელექტროიარაღის გამოყენებით უკანონოდ მოიპოვა კობრის სახეობის თევზი.

**„ელექტროიარაღით თევზჭერა სისხლის სამართლის დანაშაულია და ფაქტის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამის უწყებაში გადაიგზავნა. ელექტროიარაღი ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვისაც საფრთხეს წარმოადგენს. ელექტროიარაღის დამზადება, შეძენა, შენახვა, ტარება, გადატანა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება კანონით დასჯადი ქმედებაა.**

**მყისიერი რეაგირება ხდება სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) შემოსულ თითოეულ შეტყობინებაზე. ბრაკონიერებთან ბრძოლის ფარგლებში, დეპარტამენტი, მათ შორის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველო, აქტიურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიურ და მცურავ საშუალებებს. შედეგად, ბრძოლა გახდა კიდევ უფრო მასშტაბური და ეფექტიანი. მიმდინარე წლის პირველ 6 თვეში, მხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთში გამოვლენილია უკანონო თევზჭერის 40 ფაქტი“** – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ზურა ბაკურაძის სახელობის ბავშვთა მუსიკალური ფესტივალი „უნისონი 2026“

**ფესტივალი 15 აგვისტოს 17 საათზე ონში გაიმართება. ფესტივალის საპატიო სტუმრები იქნებიან ანსამბლი „ქართული ხმები“ და კვარტეტი „უნისონი“.**




# ქართული ღვინისა და სამზარეულოს წარდგენა ტოკიოში

**ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Red Bridge“ ორგანიზებით, იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში ქართული ღვინისა და სამზარეულოს წარდგენა გაიმართა.**

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ტოკიოს აოიამას ფერმერულ მარკეტში (Aoyama Farmersџ Market), სპეციალურად მოწყობილ სივრცეში, სტუმრებს ქართული ღვინისა და სამზარეულოს გაცნობისა და დაგემოვნების შესაძლებლობა ჰქონდათ. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო 20-მდე ქართული ღვინო, ასევე, სტუმრებმა დააგემოვნეს ქართული სამზარეულოს კერძები.



იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული საექსპორტო ბაზარია, სადაც მაღალი ხარისხის პროდუქციასა და ავთენტურ, განსხვავებულ გემოებზე მოთხოვნა მზარდია. იაპონიის ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციის ღონისძიებები ხელს უწყობს ქართული ღვინის ცნობადობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას, ასევე, საერთაშორისო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას.

# აჭარის ტელევიზია ლიზი მოისწრაფიშვილს ემშვიდობება



**აჭარის ტელევიზია სამძიმრის წერილს ავრცელებს და ტრაგიკულად დაღუპულ ლიზი მოისწრაფიშვილს ემშვიდობება.**

**„საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ლიზი მოისწრაფიშვილის გარდაცვალების გამო, ის სხვადასხვა დროს იყო მაუწყებლის თანამშრომელი, და ერთ-ერთი გამორჩეული სახე. ამ უმძიმეს წუთებში გულწრფელად ვუსამძიმრებთ დედას, ჩვენს კოლეგას ნანა ახვლედიანს, ლიზას ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. ვიზიარებთ მათ უსაზღვრო მწუხარებას, თანადგომას ვუცხადებთ მათ და ვუსურვებთ ძალას ამ მძიმე ტკივილის გადასატანად. ლიზას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება თითოეული ჩვენგანის გულში“. ლიზი (ლიზა) მოისწრაფიშვილი იყო მოდელი და ტელეწამყვანი, რომელიც მაღალსართულიანი კორპუსიდან გადმოვარდნის შედეგად ტრაგიკულად გარდაიცვალა. იგი ცნობილი რეჟისორის, ნანა ახვლედიანის შვილი და ლომერ ახვლედიანის შვილიშვილი იყო, ლიზის 11 წლის ქალიშვილი დარჩა.**



# გელათის მონასტრის გარშემო ვიზუალური დაცვის არეალი ფართოვდება

**გელათის მონასტრის ვიზუალური დაცვის არეალსა და მის მიმდებარე ტერიტორიას განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიის სტატუსი მიენიჭა. შესაბამისი დადგენილება ირაკლი კობახიძემ გამოსცა.**

დადგენილების მიხედვით, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორია ტყიბულის, წყალტუბოსა და თერჯოლის მუნიციპალიტეტების ტერიტორიების ნაწილს მოიცავს. სტატუსის მინიჭების საფუძვლად კულტურული მემკვიდრეობის ფაქტორია მითითებული..

დოკუმენტის თანახმად, განსაკუთრებული რეგულირების სტატუსი მიენიჭა გელათის მონასტრის ვიზუალური დაცვის არეალსა და მის მიმდებარე ტერიტორიას.

**„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ტყიბულის, წყალტუბოსა და თერჯოლის მუნიციპალიტეტების ტერიტორიების ნაწილს, კერძოდ, ამ დადგენილების დანართი N1-ით განსაზღვრულ, გელათის მონასტრის ვიზუალური დაცვის არეალსა და მის მიმდებარე ტერიტორიას, კულტურული მემკვიდრეობის ფაქტორიდან გამომდინარე, მიენიჭოს განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიის სტატუსი“** – ნათქვამია დადგენილებაში.

# 22 ქართველი სტუდენტი დღეს ევროპის 9 ქვეყნის 17 სახელოვნებო სასწავლებელში იღებს განათლებას

**კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცათ, აკადემიური პროგრამების ფარგლებში განათლება მსოფლიოს წამყვან სახელოვნებო სასწავლებლებში მიიღონ, მათ შორის: სტრასბურგის უნივერსიტეტში, ესტონეთის მუსიკისა და თეატრის აკადემიაში, ფრანკფურტის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტში, მიუნხენის მუსიკისა და თეატრის უნივერსიტეტში, ოზიმოს აკადემიაში, ორჰუსის მუსიკის სამეფო აკადემიაში, ჯუზეპე ვერდის სახელობის კონსერვატორიაში, ანტვერპენისა და ლიეჟის სამეფო კონსერვატორიებში, სენტ-ლუისის მუსიკის კოლეჯსა და ტოსტის საერთაშორისო სასიმღერო აკადემიაში.**

პროექტის მიზანი უმაღლესი სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე საერთაშორისო პროცესებთან ინტეგრირება, ახალგაზრდა ხელოვანთა მოტივაციის ამაღლება, მათი პროფესიული და კარიერული განვითარების ხელშეწყობაა.

ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ამ მიზნით, კულტურის სამინისტრო არაერთ პროგრამას ახორციელებს.

# ღიმილი...

**თუკი ქალმა გითხრა „არა!“, მაშასადამე შენ ნადირობდი მასზე, ხოლო თუ გითხრა „კი!“, მაშინ მონადირე ის ყოფილა.**

* * *

**გახსოვდეს: წარუმატებლობა – ეს ისეთი წარმატებაა, რომლის არსი შენთვის ჯერჯერობით უცნობია.**

* * *

**გათხოვების მსურველ ქალბატონთა კლუბის რეკლამა: „როგორ ვიპოვოთ ჩვენი ოცნების მამაკაცი და რა ვუყოთ მერე ამ ნაძირალას“.**

* * *

**მამაკაცები წიგნებს ჰგვანან: ზოგი მხოლოდ ლამაზი გაფორმებულია, ზოგი – საინტერესო, ზოგი სათავგადასავლოა, ზოგიც – სიყვარულზე... მაგრამ, ზოგჯერ არიან ისეთებიც, რომლებშიც ფულია დამალული!..**

* * *

**ქალებისთვის გავშვობა მთავრდება მაშინ, როცა მას ეძახიან არა საჭმელად, არამედ სადილის მოსამზადებლად...**

* * *



**რჩევა მძაფრი შეგრძნებების მოყვარულ ქალბატონებს: თუ მოწყენილობისგან არ იცით, რა მოიმოქმედოთ, გაიჩინეთ საყვარელი! უკეთესი იქნება, თუკი ერთდროულად რამდენიმეს იყოლიებთ!.. და უამბეთ მათ შესახებ ქმარს.**

* * *

**– რატომ გაეყარე ცოლს? – იმიტომ რომ ქორწილამდე მეუბნებოდა, რომ ლოგინში არაფერს ამიკრძალავდა, მაგრამ მერე და მერე დაიწყო – საწოლში ხინკალი და არაყი არ დამანახო, მწვადს აქ რა უნდა, ეს ყანწი მომაშორე!..**

# დადიანების სასახლეთა მუზეუმი გამარჯვებულია!

**დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულმა მუზეუმმა International Travel Awards 2026-ის ჯილდო მოიპოვა და საქართველოს საუკეთესო არქიტექტურულ-ისტორიულ მუზეუმად დასახელდა Best Historical and Cultural Museum in Georgia კატეგორიაში.**

დადიანების მუზეუმის ადმინისტრაციის ინფორმაციით, International Travel Awards საერთაშორისო ჯილდოა, რომელიც ყოველწლიურად ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროში გამორჩეულ მუზეუმებს, კულტურულ ღირსშესანიშნაობებს, ტურისტულ კომპანიებს, სასტუმროებს, ავიაკომპანიებსა და სხვა ორგანიზაციებს აჯილდოებს.



კონკურსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ვიზიტორთა გამოცდილებას, მომსახურების ხარისხს, სტუმარმასპინძლობის სტანდარტს და იმ შთაბეჭდილებებს, რომელსაც კონკრეტული ორგანიზაცია დამთვალიერებელზე ახდენს.

**„დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმისთვის ამ ჯილდოს მიღება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მუზეუმი ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსია, სადაც ერთმანეთთან არის დაკავშირებული საქართველოს ისტორია, არქიტექტურა და ხელოვნება.**

**ჯილდო კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ეს მემკვიდრეობა საინტერესო და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი დამთვალიერებლებისთვისაც.**

**International Travel Awards-ის მასშტაბს მისი გამარჯვებულების სიაც ადასტურებს. სხვადასხვა წლებში ჯილდო მიღებული აქვთ ისეთ ცნობილ საერთაშორისო ბრენდებსა და ტურისტულ ობიექტებს, როგორებიცაა Ferrari World Abu Dhabi, Warner Bros. World Abu Dhabi, W Verbier Switzerland da Radisson Blu“,** – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# სოფელ ხოვლეში ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს



**საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის სრულ რეაბილიტაციას ახორციელებს.**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სამუშაოების მიმდინარეობას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი **თეა ონიანი,** მონიტორინგის სამსახურის უფროს **გიორგი ტიკურიშვილთან** ერთად, ადგილზე გაეცნო. უახლოეს პერიოდში დასრულდება ვიზიტორთა ცენტრისა და სახლ-მუზეუმის ეზოში განთავსებული ორი დამხმარე ნაგებობის მშენებლობა.

**რეაბილიტაციის შედეგად სრულად გაიწმინდება და აღდგება შენობის ფასადი, მოეწყობა ახალი სახურავი, რეკონსტრუქცია ჩაუტარდება აღმოსავლეთის ავარიულ კედელს, მოეწყობა მარანი და ვიზიტორთა მიღება-მომსახურების ცენტრი. გარდა ამისა, სახლ-მუზეუმის ტერიტორია ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.**

**სახლ-მუზეუმში მსგავსი მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები პირველად ხორციელდება.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოხეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 17 აგვისტოს**